

240
384/3



საქართველოს
სახელმწიფო
ბუფებუბის

ეოჯებე

XXVIII - A

«ქუცნიბე»



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. С. Н. ДЖАНАШИА

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის

მ თ ა მ ბ ე

В Е С Т Н И К

ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

им. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА

XXXIII — А

„მეცნიერება“

თ ბ ი ლ ი ს ი

1984

კრებულში მოცემულია კავკასიის ტერიტორიაზე ჩატარებული
გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კვლევის შედეგები

ტომი ილუსტრირებულია სათანადო ფოტოსურათებით

სარედაქციო კოლეგია: მ.კაჭარავა (რედაქტორი)

კ.ქიმიერიძე, ა.გუგუცკორი

შემდგენელი: ე.დიღმანიძე

В сборнике даются результаты геологических, флористических и фаунистических исследований, проводимых на территории Кавказа.

Том иллюстрирован соответствующими фотографиями.

Редакционная коллегия: М.В.Качарова

(редактор), К.Р.Кимеридзе, А.М.Гегечкори

Составитель: Э.А.Дидманидзе

2002000 000
M 607(06)-84 82-84

ბამონტკემიწბა

© "მეცნიერება"

1984

Н.И. Бурчак-Абрамович
Е.Г. Габашвили

ИСКОПАЕМАЯ ЧАЙКА В ГИППАРИОНОВОЙ ФАУНЕ
ГАРЕДЖИС УДАБНО.

17. 939

Ископаемые птицы в составе гиппарионовой фауны Кавказа встречаются редко и до сих пор известны лишь как единичные находки.

Так в верхнесарматской гиппарионовой фауне Елдара описан по единственному обломку мелкий фрагмент скарлупа ископаемого страуса средних размеров - *Strutio* sp. (Гаджиев Д.В., 1958, 1959, 1961).

В верхнесарматской удабнийской гиппарионовой фауне (местность Натлис-Мцемели) описан густь *Anser udabnensis* Bur. (Бурчак-Абрамович Н.И., 1957).

Голотип-фрагмент *ulnae* sin. ad.

В верхнесарматской гиппарионовой фауне Яглуджа возле гор. Рустави (правый берег р. Куры) описан новый род крупной куриной птицы - *Rustaviornis georgicus* возможной предковой птицы для тетерева (*Burczak-Abramowicz, Meladze, 1972*).

Голотип. Нижняя часть *tibiotarsi*.

Больше находок ископаемых птиц в гиппарионовой фауне Кавказа до сих пор не было.

В настоящей работе описывается из верхнесарматской гиппарионовой фауны Удабно по фрагменту лопатки новый вид крупной ископаемой чайки^I.

^I При описании лопатки кость ориентируется: длинная ось кости лежит горизонтально. Наружная (латеральная) поверхность выпуклая продольно, внутренняя (медиальная) продольно вогнута. Верхний край кости выпуклый кверху, нижний вогнут. Расширенная, утолщенная часть кости с суставными образованиями (*caput*

В подсемействе Larinae известны 4 вымерших родов и ныне-
несуществующий род Larus. Вымершие роды: (Brodkorb, 1967)
(Lambrecht K., 1933), (Дементьев Г.П., 1946), (Карташев Н.,
1974):

1. + Halcyornis (H. Toliarcticus=Larus toliarcticus König, 1825)
верхний палеоцен. (Англия).
2. + Rupelornis (R. definitus van Beneden, 1871) средний оли-
гоцен - Бельгия.
3. + Gaviata (G. niobrara A.H. Miller et Sibley, 1941) верхний
миоцен - США (Небраска).
4. + Ocyplanus (O. proeses de Vis., 1906) верхний плейсто-
цен. Австралия.
5. Larus L. Известны 7 ископаемых видов: Larus desnoyersi
Milne-Edwards, 1863. Нижний миоцен (аквитаний), Франция-
фрагмент tarsometatarsi - Larus elegans Milne-Edwards, 1867-68,
нижний миоцен. Франция, tarsometatarsus, tibiotarsus, femur, co-
ragoideum, humerus, ulna, metacarpus. Larus totanoides Milne-
Edwards, 1867, нижний миоцен Франция, tarsometatarsus,
tibiotarsus, femur, coracoideum, humerus, ulna, carpometacarpus.,
Larus pristinus Shufeldt, 1915. Нижний мио-
цен США. Орегон Франция - tibiotarsi sin. - Larus elmerei
Brodkorb, 1953, фрагмент humerides Нижний плиоцен США.
Флорида - Larus robustus Shufeldt, 1891 Верхний плейсто-
цен США - Орегон coracoideum sin. Larus oregonus Shufeldt,
1891. Верхний плейстоцен (США орегон). Фрагмент humeri sin.

scapulae) направлена вперед (проксимально), противоположная ей,
направленная назад (дистально), утонченная часть кости лишенная
суставных образований, направлена назад. Acromion находится
в передне-верхней части кости, головка articulatio coracoidea-
lis направлена вперед (проксимально).

Таким образом наиболее древний представитель подотряда *Lari* датируется верхним палеоценом (Англия) наиболее древние чайки рода *Larus* нижним миоценом (*L. lesnoyersi*, *L. elegans*, *Larus totanoides*, *Larus prisces*) затем следует нижне плиоценовая *Larus elmarei*, верхнеплейстоценовые *Larus robustus*, *Larus oregonus*. (Англия).

Описываемая нами *Larus udabnensis* датируется верхним миоценом (верхний сармат-мэотис) и является единственным представителем чаек рода *Larus* в верхнем миоцене.

Из подсемейства крячек *Sterninae* сем. *Laridae* известны среднеплиоценовая *Sterna Milne-Edwardsi* - Riabinin, 1931 из Грузии (диатомиты Кисатиби). Бродкорб (1967) ошибочно датирует *Upper P.*; т.е. верхний плиоцен.

Из миоцена ископаемый род *Pseudosterna* с двумя видами *P. degener* Mercerat, 1897, Аргентина и *P. pampeana* Mercerat, 1897, Аргентина.

В плейстоцене и голоцене (prehistoric) найдены 16 видов чаек: *Larus canus* L., *Larus argentatus* Pontopp., *Larus fuscus* L., *Larus marinus* L., *Larus glaucescens* Naum, *Larus hyperboreus* Sweden., *Larus californicus* Lawrence, *Larus dominicanus* Licht., *Larus articiela* L., *Larus melanocephalus* Tem., *Larus bulleri* Hutton., *Larus ridibundus* L., *Larus philadelphia* (ord.), *Rissa tridactyla* (L.), *Rissa brevirostris* (Bruch), *Xema Sabini* (J, Sabine).

Ordo: Charadriiformes (Huxley)

Subordo: Lari Sharpe

Familia: Laridae Vigors

Genus: *Larus* L.

Species: *Larus udabnensis* sp. n.



Голотип - Scapula sin. ad. Pars proximalis

Местонахождение - Удабно, Сагареджойский район, Грузия

Геологический возраст - верхний сармат (меотис?)

Место хранения. Тбилиси, Госмузей Грузии АН ГССР
геологический отдел.

Палеонтоологическая экспедиция 1938.21.IX.

№ Уд. 6-96. рис. I.

Видовое наименование - *Udabnensis* от названия местности Удабно (по грузинский - "пустыня").

Диагноз - Крупная чайка. *Labrum glenoidale* вытянуто овальной формы с более выпуклым нижним краем.

Индекс его - ширина 5I.I. По середине *labrum glenoidale*, вдоль его длинной оси проходит изогнутая борозда, обращенная выпуклостью дуги кверху. *Articulatio coracoidalis* относительно небольших размеров, непосредственно прилегая, лежат над проксимальным верхним краем *labrum glenoidale*. *Acromion* имеет форму равнобедренного треугольника с тупой вершиной, лежащей проксимально-дорсально от *labrum glenoidale*.

Латеральная поверхность *acromion* выпукла спереди назад, медиальная наоборот слабо вогнута.

Проксимальная поверхность *acromion* расширена медио-латерально, образуя широкую, треугольную площадку наклоненную дис-

тально-латерально, ширина (медиально-латерально) этой площадки больше диаметра *articulatio coracoidalis*. Медиальная поверхность *caput scapulae* вогнута спереди-назад, выпукла (сверху-вниз) в нижней половине медиальной поверхности и наоборот слабо вогнута (сверху-вниз) в верхней половине ее медиальной поверхности. Медиальная поверхность акромиона в ее верхней половине образует мелкую вогнутость, отдаленную от остальной части медиальной поверхности кости нерезкой линией перегиба.

Описание: От левой лопатки сохранилась ее проксимальная часть. Лопатка свежо обломана на уровне *collum scapulae*. Поверхность кости блестящая, рыжевато-желтой окраски.

Лопатка крупная, размерами близка в лопатке рецентной *Larus marinus* и *Larus ichtyaetus*.

По деталям строения сохранившаяся проксимальная часть лопатки у удабийской чайки больше всего сходна по некоторым деталям с лопаткой рецентной *Larus marinus* и *Larus ichtyaetus*.

Labrum glenoidale продолговато-овальной формы с более выпуклым нижним краем овала.

Индекс ширины *labrum glenoidale* = 51.1 у рецентных чаек: 50 (*L. ichtyaetus*), 71.5 (*Larus marinus*).

Поверхность *labrum glenoidale* более или менее плоская, по середине ее длинной оси лежит узкая бороздка, шириной до 1,5 мм образующая дугу выпуклую кверху. Длина бороздки около 6 мм, передний конец бороздки достигает верхне-нижнего края *labrum*, задний не доходит до края *labrum* 2 мм.

Аналогичная бороздка имеется и у других просмотренных нами

современных чаек. У других групп птиц просмотренных нами, указанной бороздки нет или она лишь слабо намечается.

Archiculatfa coracoidales

относительно небольшая

заметно меньших размеров чем у других просмотренных нами чаек (см. табл. I, промеры 5.8, индекс II).

Головка **articulatio coracoidales** лежит непосредственно на переднем крае **labrum glenoidale**.

Acromion. Под акромионом мы понимаем передне-верхний участок лопатки, заключенный между верхним краем **articulatio coracoidales**, вершиной **acromion** и верхним ребром лопатки от вершины **acromion** до **collum scapulae**. Обозначенный участок в общем образует посредине почти равносторонний треугольник, у которого лишь немного более короткая передняя сторона. Своей вершиной **acromion** направлен дорсо-проксимально. Отстояние вершины **acromion** от переднего края **labrum glenoidali** около 4 мм (т.е. перпендикулярно опущенному с вершины **acromion**). Передняя поверхность **acromion** слегка вогнута сверху-вниз и выпукла спереди-назад. Передняя поверхность **acromion** отграничена от верхнего края **labrum glenoidali** барьерчиком высотой до I мм.

Медиальная поверхность лопатки в области **caput scapulae** составлена из медиальной поверхности собственно головки лопатки, противолежащему ей **labrum glenoidali** и медиальной поверхности **acromion**, лежащей над основным участком головки лопатки. Первый (основной) участок в общем вогнут продольно и выпуклый (сверху-вниз). Второй участок (медиальная поверхность акромиона) вогнута продольно и поперечно (сверху-вниз). Однако при этом ре-

Рельеф медиальной поверхности *acromion* осложняется тем, что верхняя половина его медиальной поверхности образует обособленную мелкую впадину размерами 4 мм. (сверху-вниз), 5 мм (спереди-назад).

Описываемая впадина отделена от основной (нижней) части медиальной поверхности *acromion* явственной линией перелома данной поверхности, вследствие чего поверхность впадины оказывается обращенной вперед и вверх тогда как остальная (основная) часть медиальной поверхности *acromion* направлена вниз и назад. В общем медиальная поверхность передней части лопатки (область *caput* и *collum*) вогнута спереди назад и выпукла (сверху-вниз) в ее нижней половине и слабо вогнута (сверху-вниз) в верхней половине.

У чаек аналогичный рельеф медиальной поверхности наблюдается у рецетной *Larus marinus*, но выражен несколько слабее, в еще менее выраженной форме такой-же рельеф у *Larus ichthyae-gus* и *Larus schstisagus*, совсем не выражен у *Larus argentatus* и некоторых других чаек.

Articulatio удабнийской чайки в дефектном состоянии.

Передний край *acromion* между *articulatio coracoidealis* и вершиной *acromion* *Larus udabnensis* образует треугольную площадку, шириной до 3,0-3,2 мм, круто наклоненную вперед и наружу.

У *Larus marinus* аналогичная площадка, шириной до 4 мм, наклонена в меньшей степени вперед, а ее передний край более тонкий, чем у *Larus udabnensis*.

Larus udavensis sp. nov.

Scarifa sp. n.

Толомин. Цгабмо колл. 156 обр 96

1x2



а - Латеральная поверхность




б - Медиальная поверхность

Таблица I

Наименование промеров (размеры в мм.)	<i>Larus scapula</i>	<i>Larus udabneensis scap. sin. ad.</i>	<i>Larus marinus</i>	<i>Larus ichthyæetus</i>	<i>Larus schistisegus</i>
I. Длина лопатки			8,5	86,5	Ca 70
2. Наиб. проксимальная высота лопатки (наискос длинной оси)		14	14,5	13,5	II
3. Высота лопатки через <i>cellum scap.</i>		6,5	6,2	6	5,6
4. Высота + ширина <i>labrum glenoidale</i>		9x4,6	8,5x6	8x4	6,5
5. Диаметр (сверху-вниз) <i>articulatio ceraceidalis</i>		4	5	4,5	4
6. Так-же ширина		3,5	4	3,9	3
7. Длина <i>acromion</i> (сверху-вниз) по переднему краю кости		7	6,5	5	4,6
8. Высота <i>articulatio ceraceidalis</i> (по медиальной стороне)		8	3,4	3	3
9. Толщина (мед.-латер) лопатки через <i>cellum scapulae</i>		3	3,1	3,4	2,8
10.					
Индекс 1. Индекс относительная ширины <i>labrum glenoi- dale</i> (пром.4)		51,1	71,5	50	61,5
Индекс 2. Относительная высота <i>articulatio ceraceidalis</i> к проксимальной высоте лопатки (пром.2)		29	34,4	33,3	36,3

ЛИТЕРАТУРА:

- 
1. Бурчак-Абрамович Н.И., 1957. Ископаемый гусь в гиппарионовой фауне Удабно. ДАН АзССР., 13(6), 655-659. Баку.
 2. Гаджиев Д.В., 1958. Новая находка скарлупы яйца ископаемого страуса в Азербайджане. ДАН АзССР, 14(9), Баку.
 3. Гаджиев Д.В., 1959. Новые материалы по эльдарской гиппарионовой фауне. Изв.АН АзССР, серия гел.-геогр.наук 4, сс.55-66, Баку.
 4. Гаджиев Д.В. 1961. Эльдарская верхнесарматская гиппарионовая фауна. Автореферат дисс. на соиск.уч.степени доктора биол. наук. сс.1-31. Тбилиси.
 5. Карташев Н.Н., 1974. Систематика птиц. "Высшая школа". сс. 1.366. М. Птицы Советского Союза. т.3. (Дементьев Г.П., Гладков Н.А., Станенберг Е.П., 1951 "Советская наука".
 6. Brodkorb P., 1967. Catalogue of fossil Birds. Part 3. (Ralliformes, Ichthyornithiformes, Charadriiformes). Bull. of the Florida State Museum. Biol. Sc., vol. 11,n.3, pp.99-226.
 7. Burchak-Abramovich N.I., Meladze G.K., 1972. Rustaviornis georgicus gen. et sp. n. a new fossil Birds from the Hipparion Fauna of Georgia. Acta zoologica cracoviensia. Tome XVII, n 16, 373-388. Cracov.
 8. Burchak-Abramovich N.I., 1978. Anser eldaricus sp. nova from Upper Sarmation Hipparion Fauna of Eldar. Acta zoologica cracoviensia. Tom XXIII,n 5, 67-78. Cracov.
 9. Lambrecht Kalman, 1933. Handbuch der Palaeornithologie. Berlin. I-1022.



FOSSIL GULL LARUS UDABNENSIS SP. NOV.

IN THE HYPPARION FAUNA OF UDABNO

S u m m a r y

Finds of fossil birds in the Hypparion fauna of the Transcaucasus area is scanty. *Anser udabnensis* Bur. (Upper Sarmatian, Meotis), *Anser eldaricus* Bur. et Gadz. (Upper Sarmatian, Eldar steppe, Eilar-Ougi ridge) are described hitherto, as well as egg-shells (*Rustaviornis georgicus* Bur. et Meladze, site Jagluga near the town of Rustavi), *Larus udabnensis* sp. nov. (Upper Sarmatian, Meotis, Hypparion fauna of Udabno).

Udabno, holotype: proximal part of scapulae sin. ad.; the big gull, measuring *Larus marinus* or *Larus ichthyaetus*. Relatively small head is striking - articulation coracoidalis. Labrum glenoidale is of stretch - oval shape with arched hollow. Acromion is blunt.

Medial surface of the neartop part is concave. Medial surface of the neartop part is concave. Medial surface of caput scapulae is concave in the upper part and convex in the lower part. The shoulder-blade of fossil gulls have not been described hitherto.

კ.ქიმერიძე, გ.არაბული

სვანეთის ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი
მდელოების შესწავლისათვის

სვანეთის სუბალპებში და ალპებში 2800 მეტრამდე ზღვის დონიდან ფართოდაა გავრცელებული ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები; მათ შორის მისი პოლიდომინანტური ტიპები. ამგვარ მდელოებს დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალმთის მცენარეულობის ლანდშაფტში სვანეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და სვანეთის კავკასიონის მთავარ მთაგრეხილზე ადიშის ხეობიდან მოყოლებული ზაგარის ზეკარის ჩათვლით, აგრეთვე სვანეთის ქედის დასავლეთი ნაწილის ზოგ ხეობაში, მაგალითად მაღალი მთებით საკმაოდ შემოზღუდული სკიმერის ხეობაში. შედარებით ნაკლებადაა გამოხატული სვანეთის კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის მონაკვეთზე დოლრასა და თეთნულდს შორის და ცანას წყლის სათავიდან ფასის მთამდე, აგრეთვე სვანეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში, სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედებზე. სვანეთის ამ ნაწილებში იგი უმეტესად სუბალპებში გვხვდება.

ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები განვითარებულია თითქმის ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე. ერთის მხრივ, შედარებით მცირე ფართობზე, წარმოდგენილია დეკიანთან და სუბალპურ არყნარებთან კომპლექსში ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ხოლო მეორე მხრივ საკმაოდ დიდი ფართობი უკავია სხვა ტიპების მდელოებთან და ზოგჯერ ალპურ ხალებთან, კომპლექსში როგორც სამხრეთის, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფერდობებზეა ეს ფორმაცია სივრცობრივად კარგად გამოხატული ზაგარ-თეთნულდის მონაკვეთზე ლამაზაღეს და ლაირლის ქედებზე. აქ იგი ვრცელდება 2850 მ-მდე ზღვის დონიდან და უშუალოდ ემიჯნება ალპური ხალების ფრაგმენტებსა და ალპური ნაშალების მცენარეულობას. როგორც ჩანს, ამგვარი მდელოების

განვითარებისათვის აქ არის ხელსაყრელი პირობები როგორც თერმული რეჟიმის, ისე ნიადაგის და ჰაერის ტენიანობის მხრივ.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ კავკასიონზე ნაპოვნი ბული ტიპის მდელოები, როგორც წესი, დაკავშირებულია ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებთან. ამასთანავე არეალის ამ მონაკვეთზე თითქმის არსად არ გვხვდება ზღვის დონიდან 2500 მ-ზე მაღლა. მაშინ როცა სვანეთის მაღალმთიანეთის რამდენიმე მასივზე მისი გავრცელების ზედა მაქსიმალური ზღვარი დაახლოებით 2850 მეტრს ემთხვევა, ხოლო მისი ზოგიერთი მთავარი ცენოტიპი, მაგალითად *Anemone fasciculata*, *Pulsatilla aurea* ანდა *Trollius patulus*, ხშირად 3000 მ-მდე გვხვდება ზოგი ტიპის მდელოში. ამასთან ამ სიმაღლეზე მათი სიცოცხლეობა საკმაოდ მაღალია და დაუბრკოლებლად ამთავრებენ სრულ სასიცოცხლო ციკლს.

ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები და კერძოდ მისი პოლიდომინანტური ტიპები ჩვეულებრივ დაკავშირებული არიან კარგად განვითარებულ, საკმაოდ ტენიან მთა-მდელოს ან ტყე-მდელოს მეორეულ ნიადაგებთან. ასეთი მდელოების ბალახნარში ხშირად დომინანტობს *Anemone fasciculata*, *Geranium silvaticum*, *Geranium psilostemon*, *Pulsatilla aurea*, *Trollius patul^{us}* და სხვა. მაღალკონსტანტური კომპონენტებიდან აღსანიშნავია *Geranium ibericum*, *Ranunculus acutilobus*, *Cephalaria gigantea*, *Kemulariella caucasica* და სხვა. კონკრეტულ ფიტოცენოზებში, რა თქმა უნდა, დომინანტობს არა ყველა შემოხსენებული სახეობა, არამედ მათგან მხოლოდ 3-4 სახეობა, ხოლო დანარჩენები ჩვეულებრივი კომპონენტების სახით არიან წარმოდგენილნი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის პოლიდომინანტურ მდელოებში ხშირად მონაწილეობს და არც თუ ისე იშვიათად კიდევაც კონდომინანტობს ალპური ნემსიწვერიანი მდელოების მთავარი ცენოტიპი -

Geranium gymnocaulon, მაშინ როცა აღმოსავლეთ კავკასიონზე ეს მცენარე მკვეთრადაა გამოჩენილი ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებისაგან და კერძოდ ამ ფორმაციის პოლიდომინანტური ტიპის ტიპის საგან. არეალის ამ მონაკვეთზე, როგორც ზემოთაც ითქვა, იგი გავრცელებულია მხოლოდ 2500 მ-ზე მაღლა ზღვის დონიდან, ხოლო ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები ამ მიჯნაზე დაბლა. მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთი კავკასიონის პოლიდომინანტური ნაირბალახოვანი მდელოების მადალკონსტანტური სახეობა, მაგალითად *Betonica grandiflora* ანდა *Inula orientalis*, სვანეთის შესატყვისი ტიპის მდელოებში ხშირად არც კი მონაწილეობს. ასე რომ განხილული ფორმაციის ეკოფიტოცენოტიკური და ფლორისტიკული თავისებურებები კავკასიონის მადალმთის მდელოების განვითარების ნაირგვარ ბუნებაზე მიუთითებს და ეს ნაირგვარობა რელიეფურად ვლინდება განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში.

ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების ზემოხსენებული ძირითადი კომპონენტები მეტ-ნაკლები განსხვავებულობის მიუხედავად ერთ ეკოლოგიურ კატეგორიას - მებოფიტებს მიეკუთვნებიან. ნიადაგისა თუ ჰაერის ტენიანობის მიმართ მეტ მომთხოვნელობას ამჟღავნებს *Trollius patulus*, *Pulsatilla aurea*, *Anemone fasciculata* და *Geranium psilostemon*. ამ მხრივ მათი ეკოლოგიური დიაპაზონი შედარებით შეზღუდულია, ხოლო დანარჩენები უფრო მობილური ბუნებით ხასიათდება.

ეკოფიტოცენოტიკური არეალის სიფართოვით ზემოხსენებული სახეობებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ბარისპირა (*Betonica grandiflora*) და ნემსიწვერა (*Geranium ibericum*). ეს მცენარეები მართალია დაბალი რანგის ცენოტიპის სახით მონაწილეობენ სუბალპური და ალპური მდელოების თითქმის ყველა ტიპში; მათ შორის ქსერომეზოფილურ მდელოებშიც. მათ საკმაოდ უახლოვდება მზიურა (*Inula orienta-*



lis) და *Kemulariella caucasica*, ხოლო ნემსიწვევრას ზოგჯერ ხეობა, მაგალითად *Geranium silvaticum* და *Geranium platanifolium* უფრო მეტ სიახლოვეს ამკლავებენ ფრინტასთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელთან შედარებით ისინი სითბური ენერჯიის მიმართ მეტი მომთხოვნელობით ხასიათდებიან. აღნიშნული გარემოებების მიუხედავად ზემოხსენებული სახეობები არც ისე იშვიათად ასოცირდებიან და ქმნიან პოლიდომინანტურ ფიტოცენოზებს. ასეთ ფიტოცენოზებში დომინანტი სახეობების სიცოცხლეობა მაღალია, რაც მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული თანაცხოვრების მაჩვენებელია.

პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები ჩვეულებრივ განვითარებულია მთელ სავეგეტაციო პერიოდში ტენით უზრუნველყოფილ ნიადაგებზე. აქედან გამომდინარე საგულისხმოა, რომ ასეთი ფიტოცენოზები შედარებით დიდ ფართობზე წარმოდგენილია დასავლეთ კავკასიონზე, კერძოდ სვანეთში. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მათი მნიშვნელობა მაღალმთიანეთის ფიტოლანდშაფტში თანდათან ქვეითდება, რაც ამავდ მიმართულებით კლიმატის სიმშრალის მომატებასთან არის დაკავშირებული.

ამასთანავე, როგორც ეს შესაბამისი ლიტერატურიდან (გროსჰიმიმი და იაროშენკო, 1929; ახვერდოვი და დოლუხანოვი, 1930) და ჩვენი მასალებიდან ჩანს, აღმოსავლეთისაკენ ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებში მატულობს ბიდომინანტური და მონოდომინანტური ფიტოცენოზების მნიშვნელობა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს უკანასკნელნი პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების დეკუმბაციის შედეგს წარმოადგენენ. ეს კანონზომიერება შესამჩნევია კავკასიონის ცალკეულ რეგიონებშიც, კერძოდ ვნგურის, ცხენის წყლის თუ არაგვის აუზების მაღალმთიანეთში. აღსანიშნავია, რომ ხშირად ამგვარ ბიდომინანტურ თუ მონოდომინანტურ ცენოზებში მონაწილეობენ ფართოფოთლიანი ნაირბალახეულობის სხვა წარმომადგენლე-

9
3
9
17.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. რესპუბ.



ბიც დაბალი რანგის ცენოტიპების სახით. ეს ფაქტი იმაზე მეტყვე-
ლებს, რომ ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების ფიტოცენოზებში
ზი ზემოხსენებული სახეობების მონაწილეობით მიმდინარეობდა და ამ
სახეობებმა გაიარეს საკმაო ხანგრძლივი შეუღლებული ევოლუციის
პროცესი. აღნიშნული გარემოებების გამო მიზანშეწონილია მათი ღრ-
მინანტობით შექმნილი ფიტოცენოზები განხილულ იქნას ერთ ფორმაციაში.

ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოსათვის დამახასიათებელია
საკმაოდ შეკრული და მაღალი ბალახნარი. ფიტოცენოზის მიწისზედა
შრე იმდენადაა გაჯერებული ფიტომასით, რომ საერთო სიუხვისა და სი-
მაძღრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამგვარ ფიტოცენოზებში ფართოფო-
თლიანი ნაირბალახების ქვედა ფოთლები ხშირად შემხმარია, უმთავრესად
ზაფხულის მეორე ნახევარში. ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნე-
ბა, რომ ფიტოცენოზის ქვედა ფენა მეჩხვრია, ხოლო მიწისეული შრე
ამორფული. მაგრამ ამ ტიპის მდელოების ნებისმიერი ფიტოცენოზის
დეტალური შესწავლისას ირკვევა, რომ ცენოზის მიწისეული იარუსი,
განსაკუთრებით ზედა შრე გაჯერებულია ფესვთა სისტემით და ამ
მხრივ არ ჩამოუვარდება გაკორდებულ მდელოებს, კორდის შინაარსის
განსხვავებულობის მიუხედავად.

ამგვარი მდელოები ფლორისტიკული შემადგენლობით საკმაოდ მდი-
დარია. სახეობათა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ნაირბალახულობას
მიეკუთვნება, ხოლო პარკოსნების მონაწილეობა როგორც სახეობრივი
შემადგენლობით, ისე საერთო სიმრავლითაც ფრიალ შეზღუდულია. საყუ-
რადღებოა, რომ ჯადგარისებრთა ოჯახის ერთი სახეობა, კერძოდ *Traun-*
steinera sphaerica განსაკუთრებულ ერთგულებას ამჟღავნებს ამ
ტიპის მდელოსადმი. შესაძლებელია ეს ასე არ არის არეალის დანარ-
ჩენ ნაწილში, მაგრამ ენგურისა, ცხენის წყლის და არაგვის აუზებში,
აგრეთვე ანდიის ყოისუს სათავეებში, იგი მხოლოდ ფართოფოთლიან
ნაირბალახოვან ფიტოცენოზებში მონაწილეობს.



ფლორის სიმდიდრის მიუხედავად ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები სინუზიური შემადგენლობით რთული არ არის. მასში გენილია მარცვლოვანების, პარკოსნების და ისლების სინუზიები, მაგრამ მათი ხვედრითი წილი ფიტოცენოზების უმეტესობაში უმნიშვნელოა. ამ სინუზიების შემქმნელი მცენარეებიდან შედარებით მაღალკონსტანტურია *Poa iberica*, *Festuca djimilensis*, *Phleum alpinum*, *Vicia balansae*, *Carex caucasica* და სხვა. მიწისზედა ფიტომასის ღიდი ნაწილი - საშუალოდ 80-85% ნაირბალახეულობის ფრაქციაზე მოდის, პარკოსნებზე - 5-10%, ხოლო მარცვლოვნებზე და ისლებზე 10-15%. განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ფართოფოთლიანი ნაირბალახების და წვრილფოთლოა ნაირბალახების სინუზიებს, რომლებიც მეზოფიტებიტაა შემდგარი. ხშირად განვითარებულია მწვანე ხავესებისა და არაეფემეროიდული გეოფიტების სინუზიები, მაგრამ მათ ფიტოცენოზებში დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ.

როგორც უკვე აღინიშნა პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელო ერთ-ერთი ძირეული ასოციაციაა. მისი ფიტოცენოზები შექმნილია რამდენიმე სახეობის კონდომინანტობით. მათ შორის საკმაოდ მაღალკონსტანტურია *Anemone fasciculata*, *Pulsatilla aurea*, *Geranium gymnocaulon*, *Trollius patulus*, *Ranunculus raddeanus* და სხვა. ეს სახეობები ჩვეულებრივ დიფუზურადაა განაწილებული ფიტოცენოზში, თუმცა ზოგი მათგანი იშვიათად ქმნის ლექობრივ კოლონიებს. ამის გამო ფიტოცენოზი მოზაიკურ იერს იღებს, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ყვავილობის ფაზებში. ბალახნარი საკმაოდ უხვი და მაღალია, ფიტომასის 80% დომინანტ სახეობებზე მოდის, ხოლო დანარჩენი - მეტწილად ვიწროფოთლოა ნაირბალახეულობაზე და მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი მარცვლოვნებზე და პარკოსნებზე მოდის. დამკორდებული მცენარეების - მარცვლოვნების და ისლების მცირე მონაწილეობის მიუხედავად ნიადაგის ზედა ჰორიზონტში წარმოქმ-



ნილია ფესურებისა და ფესვების მკვიდროდ ჩახლართული ბადე, რომელიც საკმაოდ ამაგრებს ნიადაგის ზედაპირს და მნიშვნელოვანად ხარისხით ზღუდავს ეროზიულ მოვლენებს.

ასოციაციის ამა თუ იმ ნაკვეთზე დასახელებული დომინანტებიდან ერთი-ორი სახეობა ან ამოვარდნილია, ანდა მცირე სიმრავლითაა წარმოდგენილი, მაგრამ ამით ფიტოცენოზთა მორფოლოგიურ-სინუზიური სტრუქტურა არსებითად არ ირღვევა. ბალახნარის საერთო დაფარულობა უმეტესად 100%-ს აღწევს და ძირითადად შეკრულია ფესვთანური ფოთლების დონეზე. ამ დონის მაღლა აწეულია მათი გენერაციული ღეროები. ამგვარი მდელთა ათასფრადაა შეფერადებული ყვავილობის პერიოდში, თუმცა ფიტოცენოზში მონაწილე სახეობათა ყვავილობის სპეციფიკური რიტმების გამო საერთო ასპექტი რამდენჯერმე იცვლება სავგებეტაციო პერიოდში. ეს ასოციაცია ჩვეულებრივ წარმოდგენილია ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების სხვა ასოციაციებთან კომპლექსში. ასეთი კომპლექსები საკმაოდ დამახასიათებელია სვანეთის მაღალმთიანეთის ფიტოლანდშაფტისათვის.

აღწერილი ტიპის მდელოების ყველა კომპონენტის, მათ შორის დომინანტების, ვეგეტატიური განახლება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. მათი აბსოლუტური უმეტესობა ვეგეტატიურად მოძრავი ბიომორფების კატეგორიას მიეკუთვნება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მათი გენერაციული პროდუქტიულობაც საკმაოდ მაღალია და თესლითი განახლებაც დამაკმაყოფილებლად ხდება, როცა საამისო აუცილებლობაა. ფიტოცენოზებში მეტწილად საკმაოდ უხვადაა აღმონაცენები, მაგრამ მათი შემდგომი განვითარება შეფერხებულია ზრდასრული ინდივიდებით ფიტოცენოზის ჭარბი გაჯერების გამო.

არსებული ლიტერატურული წყაროებით და საერთოდ ჩვენს ხელთ დაგროვილი მასალებით აშკარაა, რომ პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოები მეტ-ნაკლები ხარისხით დამახასიათე-



ბელია მთელი კავკასიონის მაღალმთიანეთისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ამა თუ იმ რეგიონში განვითარებული ამ ტიპის მდელოებში ნად განსხვავდებიან ზემოაღწერილისაგან, რომ შესაძლებელია ლულ იქნან დამოუკიდებელ ასოციაციებად ანდა უფრო დაბალი რანგის სინტაქსონებად. მაგალითად, ასეთი მდელოები საკმაოდ დამახასიათებელია აგრეთვე არაგვის ხეობისათვის, მაგრამ აქაურ პოლიდომინანტურ ფართოფოთლიან ნაირბალახოვან მდელოებში სრულიად არ გვხვდება *Pulsatilla aurea*, *Ranunculus raddeanus* და მთელი რიგი სხვა სახეობები, ხოლო ზოგიერთი დომინანტი დაბალი რანგის ცენოტიპის სახითაა წარმოდგენილი. ამასთან აქ საერთოდ ფართოფოთლიან ნაირბალახოვანი მდელოების როლი მაღალმთის ფიტოლანდშაფტის შექმნაში მეტწილად უმნიშვნელოა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცხენის წყლის აუზში, სახელობრ ლაფურის ხეობის სათავეში, დაახლოებით 2200 მ-ზე ზღვის დონიდან, ფლუვიგლაციურ გავაკებულ რელიეფზე განვითარებულია მეტად თავისებური პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელო. მასში დიდი მნიშვნელობა აქვს *Vicia balansae* -ს, რომლის დაფარულობა ფიტოცენოზში 40%-ს აჭარბებს. ამასთანავე დასახელებული მასივის ზოგი სხვა ტიპის მდელოში იგი თითქმის ასეთივე სიმრავლით მონაწილეობს. მართალია ეს მცენარე საკმაოდ კონსტანტურია სვანეთისა და არაგვის აუზის ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებისათვის, მაგრამ ლაფურის მსგავსი ფიტოცენოზები სხვაგან არსად არ არის აღნიშნული. მასში ამა თუ იმ სიმრავლით მონაწილეობს აგრეთვე მადალბალახეულობის რამდენიმე კომპონენტი, როგორცაა მაგალითად *Cephalaria gigantea*, *Pedicularis atropurpurea*, *Campanula latifolia* და სხვა. აღნიშნული ფიტოცენოზი სახეობრივი შემადგენლობით მდიდარია, ხოლო მორფოლოგიური და სინუზიური სტრუქტურით საკმაოდ რთული. ხასიათდება უხვი და მაღალი ბალახნარით, საერთო


დაფარულობა 100%-მდე აღწევს. ბალახნარი განსაკუთრებით შეგრულია ცერცვის ხსენებული სახეობის სიმაღლის (40 სმ) ღონეზე. მოყენებულია სათიბად და კვებითი ღირსებით სასუკეთესოა ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების სხვა ტიპებთან შედარებით.

პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების მიწისზედა ფიტომასის მოსავლიანობა საკმაოდ დიდია, საშუალოდ 40 ცენტნერი ჰექტარზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დაბალია კვებითი ღირსება. ფიტომასის უმეტესი ნაწილი ბალახტური და შხამიანი მცენარეებისგან შედგება. შხამიანი მცენარეებიდან დიდი სიმრავლით მონაწილეობს *Trollius patulus*, *Anemone fasciculata*, *Pulsatilla aurea* და სხვა. თუმცა, როგორც ჩანს, თიბვის დროს, აგვისტოს ბოლო დეკადაში, მიწისზედა ორგანოებში მნიშვნელოვნადაა შემცირებული მომწამლელი ნივთიერებების შემცველობა.

მიწისზედა ფიტომასის საკმაოდ მაღალი მოსავლიანობის მიუხედავად აღწერილი ტიპის ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელო დაბალი ბონიტეტის საკვებ სავარგულად უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი სავარგულის საძოვრად გამოყენებისას ჭამადობის მაჩვენებელი მეტად მცირეა, მაგრამ, როგორც ეს მითითებულია ლიტერატურაში (ყავრიშვილი, 1965), გაცილებით დიდია თივის გამოყენების კოეფიციენტი. ამიტომ, ამჯერად უმჯობესია პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების სათივედ გამოყენება, ვიდრე მდე შემუშავდება ამ მდელოების გაუმჯობესების ექსპერიმენტულად დასაბუთებული ღონისძიება.

ნაირბალახოვან-შხამიანი მდელო

ნაირბალახოვანი შხამიანი მდელოების ერთ-ერთი უმთავრესთაგან-ნი ცენოტიპია შხამა - *Veratrum lobelianum*. იგი მეტისმეტად იშვიათად გვხვდება სვანეთის მთიანეთში; მცირე სიმრავლით აღნიშნულია სვანეთის ქედის ჩრდილო კალთაზე და სვანეთის კავკასიონის



მთავარი მთავრეხილის ზოგ მონაკვეთზე, აგრეთვე სამეგრელოსა და ლეჩ-
ხუმის ქედების ჩრდილო კალთაზე. ამასთან მისი კონდომინანტობები
შექმნილი ფიტოცენოზები აღწერილია მხოლოდ ხალდეს, ზესხოსა და ლა-
ფურის ხეობებში. პირველ ორ ხეობაში ამგვარი ფიტოცენოზები მეტად
მცირე ფართობზეა განვითარებული, ხოლო ლაფურის ხეობაში საკმაოდ
მოზრდილი ფართობი უკავია და ამითაც ეს ადგილები თვალსაჩინოდ
განსხვავდება სვანეთის დანარჩენი მიწა-წყლისაგან. კავკასიის მა-
ღალმთის ზოგ რეგიონში უხამას თუ უხამიანი ფიტოცენოზების ფართო
გავრცელებას პასტორალური ფაქტორის ზემოქმედებით ხსნიან. შესაძ-
ლებელია ეს მოსაზრება სრულიად მართებულიც არის, მაგრამ გაცვებას
იწვევს ის ფაქტი, რომ სვანეთის საძოვარი სავარგულების უმეტესი
ნაწილი საკმაოდაა დეგრადირებული და დასარეგლიანებული, მაგრამ
არა უხამათი, არამედ უმთავრესად რძიანასა და ნარის სახეობებით.
რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? რა თქმა უნდა ვერ ვიტყვით,
რომ სვანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო შეუთავსებელია ხსენე-
ბული მცენარის ან მისი კონდომინანტობით შექმნილი მდელოების გან-
ვითარებისათვის. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეუ-
ლია სვანეთის მაღალმთის მდელოების ეკოსისტემის ბიოტური ნაწილის
გარკვეული თავისებურებით.


კავკასიის მაღალმთიანეთში უხამას ცენტრიკური პოზიცია საკ-
მაოდ აქტიურია. იგი ხშირად მონაწილეობს ტყის ზედა სარტყელის
მეორეულ მდელოებში და სუბალპური მცენარეულობის ნაირგვარ ტიპებ-
ში, მათ შორის ძიგვიანებშიც და შედარებით ქსერომეზოფილურ მდელო-
ებშიც. ამის მიუხედავად მისი ეკოფიტოცენოტიკური არეალი მაინც
შეზღუდულია. უმეტეს შემთხვევაში მონაწილეობს ისეთ მდელოებში,
რომელთა ნიადაგი თითქმის მთელ სავეგეტაციო პერიოდში მყარი ტე-
ნიანობის რეჟიმით ხასიათდება და ამასთანავე მეტწილად ასოცირდე-
ბა მეზოფილური ბუნების ნაირბალახეულობასთან. მისი კონდომინან-

ტობით შექმნილი ფიტოცენოზები განვითარებულია მთა-მდელოს ან ტყე-მდელოს დონეებსა და ტენიან, კარგად ჩამოყალიბებულ ნიადაგებში.

ნაირბალახოვან-შხამიანი მდელოების ფლორა საკმაოდ მდიდარია იგი ჰექტოგენურია და საკმაოდ განსხვავებული ფლოროცენოტიკური ელემენტებისგან შედგება. მასში მონაწილეობს მაღალბალახეულობის, სუბალპური მდელოების სხვადასხვა ფორმაციის და ტყის ზედა სარტყელის მეორეული მდელოების კომპონენტები, აგრეთვე სუბალპური ტყის ზოგიერთი ელემენტი. ფლორის ასეთი ნაირგვარობა თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი ფიტოცენოზების განვითარება არაა მისული შეფარდებითი სიმყარის დონემდე და ეს ფიტოცენოზები, როგორც ჩანს, ძირითადად წარმოქმნილია ძირეული ტიპის მცენარეულობის დეგრადაციის პროცესში.

აღნიშნული გარემოებებითაა შეპირობებული ამგვარი მდელოების მორფოლოგიური და სინუზიური სტრუქტურის სირთულე. ამ ნიშან-თვისებით იგი საკმაოდ გამოირჩევა სხვა ტიპის მდელოებიდან. ხასიათდება უხვი და მაღალი ბალახნარით, საერთო დაფარულობა 100% აღწევს; გამოხატულია ორი ან სამი იარუსი და ჩვეულებრივ ბალახნარი შეკრულია ქვედა იარუსში. ხშირად განვითარებულია მიწისპირა იარუსი, რომელიც მეტისმეტად ამორფულია და ძირითადად ხავსებითაა შექმნილი. ზედა იარუსში შხამა დომინანტობს, მასთან შერეულია მაღალბალახეულობის ზოგიერთი მცენარე. ფიტოცენოზში შხამა ლაქობრივი კოლონიებით არის წარმოდგენილი, თითოეული კოლონია 3-10 და ზოგჯერ მეტი დეროსაგან შედგება, რომლებიც ფაქტიურად ერთ ბუდე ინდივიდს წარმოადგენს. ამასთანავე ცენოზში ყოველთვისაა ერთეულდეროიანი ეგზემპლარები. ამის გამო ფიტოცენოზები მეტწილად მოზაიკურია. თუმცა შხამა თითქმის ყოველთვის დიფუზურადაა განაწილებული ბალახნარში.

ნიადაკის ტენიანობის მყარი რეჟიმის მიმართ განსაკუთრებულ მომთხოვნელობას ამჟღავნებს შხამიან-ფართოფოთლიან ნაირბალახოვან-



ნი მდელო - *Latifolium mixtoherbetum veratrumosum*. იგი პოლიფორ-
 მინანტური ფიტოცენოზებისაგან შედგება. შხამასთან ერთად დომინან-
 ტობს *Trollius patulus*, *Anemone fasciculata*, *Geranium psillos-*
temum და სხვა. უფრო დაბალი რანგის ცენოტიპების სახით მონა-
 წილეობენ აგრეთვე სხვა ფართოფოთლიანი ნაირბალახებიც. ამ ჯგუფის
 მცენარეებზე მოდის ფიტომასის 80-85%. ეს დომინირებული სინუზია
 სახეობრივი შემადგენლობით ზემოთ დახასიათებული პოლიდომინანტური
 ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების ანალოგიურია. მხოლოდ იმ
 განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ ასოციაციაში შხამა მეტწილად არ
 გვხვდება ანდა თითო-ორჯერ ინდივიდის სახითაა წარმოდგენილი.

შხამიან-ნაირბალახეულობისათვის დამახასიათებელია მაღალბალა-
 ხეულობის კომპლექტებით შექმნილი სინუზია, რომლის კონსტანტური
 სახეობებიდან აღსანიშნავია *Pedicularis atropurpurea*, *Campanu-*
la latifolia, *Campanula lactiflora*, *Cephalaria gigantea*, *Inu-*
la grandiflora და სხვა. მკაფიოდაა გამოსატყული მეზოფილური მარც-
 გლოვანებისა და ვიწროფოთლო ნაირბალახეულობის სინუზიები. პირვე-
 ლი მათგანის შინაარსს განსაზღვრავს ნამიკრეფია, ხოლო მეორე შემდ-
 გარია მრავალი სახეობით, რომელთა უმეტესობა მცირე სიმრავლით მო-
 ნაწილეობს ფიტოცენოზში.

შხამიან-ფართოფოთლიან ნაირბალახოვანი მდელო აღწერილი იქნა
 ხალდეს, ზესხოსა და ლაფურის ხეობებში, ხოლო უფრო ადრე აღნიშნული
 იყო არაგვის აუზში. ჩვეულებრივ განვითარებულია გავაკებულ ან
 საშუალოქანობიან (20⁰) რელიეფზე, 2200-2450 მეტრზე ზღვის დონიდან.

ხალდესა (2350 მ ზღ.დ.) და ლაფურის ხეობებში (1900 მ ზღ.დ.)
 აღწერილია აგრეთვე ნაირბალახოვან-მარცვლოვან-შხამიანი მდელო-
Veratrumetum graminoso-mixtoherbosum. იგი განვითარებულია გა-
 ვაკებულ ან მცირექანობიან რელიეფზე ტყე-მდელოს გარდამავალი ტი-
 პის ტენიან ნიადაგზე. ხალდეს ხეობაში მას უკავია მცირეფართიანი
 ნაკვეთი, ხოლო ლაფურის მასივზე - საკმაოდ დიდი ფართობი სუბალპური



ტყის და მეორეული მდელოების კომპლექსში. აქ იგი უეჭველად ნატყე-
ვარზეა წარმოქმნილი მცენარეულობის ანტროპოგენური ცვლის შედეგად.
ეს ასოციაცია მორფოლოგიურ-სინუზიური სტრუქტურით კიდეც უფრო რთუ-
ლია, ხოლო ფლორისტიკული შედგენილობით მეტად გრელი. დომინირებული
სინუზიის შექმნაში შხამასთან ერთად მონაწილეობს ფართოფოთლიანი
ნაირბალახეულობა, ხოლო მარცვლოვანთა სინუზიას ქმნის *Poa iberica*,
Trisetum pratense, *Agrostis planifolia*, *Helictotrichon pube-*
scens და სხვა, მათ შორის მეორეული მდელოების ტიპიური კომპო-
ნენტები, როგორცაა *Cynosurus cristatus* და *Festuca pratensis*.
დაქვემდებარებულ იარუსში წარმოდგენილია აგრეთვე ვიწროფოთოლა
ნაირბალახეულობის და პარკოსანი მცენარეების სინუზიები, რომლებიც
ფლოროცენოტიკურად ნაირგვარი წარმომადგენლობის სახეობებისაგან შედ-
გება.

ლაფურის სათავეების ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების
კომპლექსში წარმოდგენილია მეტად თავისებური ფიტოცენოზები -
ნაირბალახოვან-ცერცვიან-შხამიანი (*Veratrumetum vicioso-mixto-*
herbosum). იგი სიღრმობრივად კარგადაა გამოსახული და განვითარ-
ებულია გავაკებულ რელიეფზე 2100-2200 მ-ზე ზღვის დონიდან.
ფლორისტიკული შემადგენლობით და მორფოლოგიური სტრუქტურით მსგავს-
ია ზემოაღწერილი ასოციაციებისა, მაგრამ აქ კარგადაა განვითარე-
ბული ცერცვის (*Vicia balansae*) სინუზია და ბალახნარი მისი სი-
მაღლის (30-35 სმ) დონეზეა შეკრული. შხამა და სხვა მცენარე-
ებიც ღიფუზურადაა განაწილებული ფიტოცენოზში და ამის გამო ცენოზი
საკმაოდ ჩამოყალიბებული და სტაბილური მცენარეული თანასაზოგადოე-
ბის იერს ატარებს. მაგრამ, შესაძლებელია იშვიათობის გამო, განსა-
კუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცერცვის ხსენებული სახეობის სიუხ-
ვე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ თითქოს იგი სპეციალურად იყოს
დათესილი ამ ადგილებში და შემდგომში ამ ნათესარ ცერცვიანში შე-

სახლებულა მდელის დანარჩენი კომპონენტები. ცერცვის დასახლებულ სახეობას აქ არავინ დათესდა და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფიტოცენოზები წარმოქმნილია სხვა გარემოების გამო.

ლაფურის ხეობის ზედა მასივი სათივედაა გამოყენებული. როგორც ჩანს, თივის ზვინებს აგროვებდნენ იმ ადგილებზე, სადაც ახლა მდელი-ბია განვითარებული ცერცვის უხვი მონაწილეობით. თივა გაჰქონდათ გვიან, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე და ამ ადგილებზე უხვად იზნეოდა ცერცვის თესლი. თივის ზვინების ხანგრძლივად ნადგომ ადგილებზე ძირეული მცენარეულობის კომპონენტთა უმეტესობა ისპობოდა და ყალიბდებოდა ადგილსამყოფელის სპეციფიკური რეჟიმი, რომელიც როგორც ჩანს, ოპტიმალურია ცერცვის ხსენებული სახეობისათვის. ასეთ ადგილებზე ალბათ ცერცვი ერთგულად და მასობრივად აღმოცენდებოდა სწრაფად ვითარდებოდა და იკავებდა სტაციის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო გაჯერებულ ფიტოცენოზში, როგორც ჩანს, გაძნელებულია სხვა მცენარეთა განსახლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთივე წარმოშობისაა ზემოთ აღწერილი პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი-ცერცვიანი ფიტოცენოზები. ასეთ ადგილებზე თივის ზვინების დაუდგმელობის შემთხვევაში თანდათანობით მოსალოდნელია ცერცვის ცენოტიკური პოზიციების დაქვეითება და ძირეული ფიტოცენოზების დემუტაცია. ასე რომ ნაირბალახოვანი-ცერცვიანი-შხამიანი ფიტოცენოზები მცენარეულობის განვითარების მოკლევნიანი სტადიის სახითაა წარმოდგენილი და მისი არსებობა ადგილსამყოფელის სამეურნეო გამოყენების სპეციფიკური რეჟიმის პირობებთანაა დაკავშირებული. სამეურნეო მაჩვენებლებით ნაირბალახოვანი შხამიანი მდელოები არსებითად არ განსხვავდება პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებისაგან.

ფრინტიანი მდელო. ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებიდან კავკასიის მაღალმთიანეთში ყველაზე ფართო არეალი აქვს ფრინტი-



ნებს. ამგვარი მდელოების მთავარი ცენოტიპი - *Anemone fasciculata* გავრცელებულია როგორც დიდ, ისე მცირე კავკასიონზე, მისი დომინანტობით შექმნილი ფიტოცენოზები უფრო მეტად კავკასიონის დასავლეთ ნაწილში გვხვდება. თავისთავად ეს გარემოება მის მეზო-ფილურ ბუნებაზე მეტყველებს. იგი ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების თითქმის ყველა ტიპის კონსტანტური კომპონენტია და ხშირად მონაწილეობს სუბალპური და ალპური მდელოების ყველა ტიპში, რომლებიც განვითარებულია ტენიან ნიადაგებზე. ამის კვალობაზე მისი ედიფიკატორული ბუნება ნათლად გამოკვეთილია მხოლოდ ისეთ მთამდელოს ნიადაგებზე, რომელთა გენეზური ჰორიზონტები კარგადაა ჩამოყალიბებული და ხასიათდება მცირეხიზხატიანობით და ტენიანობის სტაბილურობით მთელ სავეგეტაციო პერიოდში.

ფრინტიანი ფიტოცენოზების ბალახნარი საკმაოდ უხვია და შეეკრული. ფიტომასით განსაკუთრებით გაჯერებულია ცენოზის ქვედა შრე, სადაც თავმოყრილია ფრინტას ფესვთანური ფოთლების ძირითადი მასა. ამ იარუსის პროექციული დაფარულობა საშუალოდ 50-60%-ია, მაგრამ ზოგიერთ ფიტოცენოზში 80%-საც აჭარბებს. ზედა იარუსში მოხვედრილია ფრინტას გენერაციული დეროები და ზოგი მაღალმოზარდი მცენარე. ამ იარუსის დაფარულობა საშუალოდ 25-30%. უმეტესწილად გამოსახულია მიწისპირა იარუსი. აქ წარმოდგენილია ძირითადი კომპონენტების აღმონაცენები და მცირეხიზიანი ინდივიდები, აგრეთვე ხაცსების სინუზია. ფრინტიანებისათვის დამახასიათებელია შედარებით შეზღუდული სახეობრივი შედგენილობა და მარტივი სინუზიური სტრუქტურა. ამ მაჩვენებლებითა და სხვა ცენოტიკური ნიშან-თვისებების მიხედვითაც იგი სტაბილურ ბუნებას ამჟღავნებს. ფრინტიან ფიტოცენოზებში დიდი მნიშვნელობა აქვს ფართოფოთლიანი და ეიწროფოთლიანი ნაირბალახეულობის სინუზიებს, განსაკუთრებით პირველ მათგანს, რომლის არსს ძირითადად ფრინტას ზემოხსენებული სახეობა განსაზღვრავს.



მასში განვითარებულია აგრეთვე ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებისათვის დამახასიათებელი ზოგი სხვა სინუზიაც, მაგნიფრინტის ნების უმეტესობაში ისინი მეტად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში არიან.

სვანეთის მთიანეთში ფრინტიანებს ვერტიკალური გავრცელების საკმაოდ ფართო დიაპაზონი აქვთ. ასეთი მდელოები გვხვდება ზღვის დონიდან 2300 მ-დან დაწყებული 2850 მ-მდე. აღწერილია ოთხი ასოციაცია, რომლებიც ფიტოცენოლოგიური შინაარსით საკმაოდაა გამიჯნული ურთიერთისაგან. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ნაირბალახოვანი-ფრინტიანი - *Anemotum fasciculatae mixtoherbosum*. ამგვარი მდელოები განვითარებულია ლამაიალესა და ლაირლის ქედებზე, ხალდესა და დოლრას ხეობებში, ნაკრასა და ნენსკრას აუზებში, განსაკუთრებით ტოპულდარის მასივზე; ზაგარის ზეკარის მიდამოებში, ცხენის წყლის სათავეებში, უმთავრესად ზემო ლაფურის ხეობაში და მდ. ხელედულას მარცხენა შენაკადის - მანანაურის ღელის სათავეში; აგრეთვე ლეჩხუმისა და სვანეთის ქედების ჩრდილო კალთებზე.

ნაირბალახოვანი ფრინტიანები საკმაოდაა გავრცელებული აგრეთვე არაგვის აუზში, კერძოდ ალევის ქედზე - ლომისას მასივი, ხადას ხეობაში, როშკის ხორხში და გუდამაყრის ქედის დასავლეთ ნაწილში - ლუთხუბის მასივზე. ამ ადგილებში იგი როგორც წესი განვითარებულია ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების სხვა ასოციაციებთან კომპლექსში ყველაზე ტენიან ადგილსამყოფელზე.

ფრინტიან მდელოებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა უძოვრიანი-ფრინტიანი *Anemone fasciculata* -ს და *Trollius patulus* -ის ღომინანტობით. ასოცირების მიუხედავად ეს მცენარეები ეკოლოგიური ბუნებით და განვითარების რიტმით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უძოვარა ნიადაგის ტენიანობის მიმართ მეტ მომთხოვნელობას ამჟღავნებს. ფიტოცენოზების კომპონენტთა შორის იგი ყველაზე



ადრე ყვავილობს და მხოლოდ მისი ნაყოფმწიფობის ფაზაში შესვლის შემდეგ იწყება ფრინტას ყვავილობა. ამის გამო უძოვრიანი ფრინტიანში უი ყველაზე ნათლად და ხატოვანად ორი ასპექტია გამოსახული. პირველი უძოვარას ყვავილობისას, როდესაც ლეგა-მწვანე ჯონზე აკაშკაშებულია მისი ყვითელი ყვავილები და მეორე - ფრინტას ყვავილობისას, როცა ფიტოცენოზი გადაპენტილია მისი თეთრი ყვავილებით. ასპექტიანობის ასეთი ერთგვაროვანება გამოწვეულია უძოვრიანი ფრინტიანების ფლორისტიკული სიღარიბით და სინუზიური სტრუქტურის სიმარტივით. ფრინტიანებს შორის ამ ასოციაციის ფიტოცენოზები ყველაზე ტენიან ნიადაგებზეა განვითარებული, უპირატესად ჩაზნექილ რელიეფზე. ასეთ ადგილებში ხდება თოვლის აკუმულაცია. ამის გამო საკმაოდაა შეკვდილი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, მაგრამ მისი ძირითადი კომპონენტები ეფემეროიდების მსგავსად მოკლე დროში გადაიან სასიცოცხლო ციკლის გენერაციულ ნაწილს - ყვავილობიდან ნაყოფმწიფობამდე. უძოვრიან-ფრინტიანებს მეტწილად უკავიათ მცირეფართიანი ნაკვეთები და შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული; აღნიშნულია ხალდესა და ლაფურის ხეობებში და სვანეთის ქედის დასავლეთ ნაწილში.

სვანეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელია, მაგრამ ასევე იშვიათია, მედგარიან-ფრინტიანი - *Anemone fasciculatae pullsatillosum*. იგი განვითარებულია ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების კომპლექსში სვანეთის კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის მონაკვეთზე ადიშვალის სათავიდან ზემო ლაფურის ხეობამდე და სვანეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის ჩრდილოეთის კალთაზე. მთავარი ცენტრიების განვითარების რიტმები არაა ისე დიფერენცირებული, როგორც ეს უძოვრიანი ფრინტიანებისათვისაა დამახასიათებელი. მედგარიან-ფრინტიანში მედგარის (*Pulsatilla aurea*) ყვავილობა იწყება ცოტახნით ადრე და ნაყოფმწიფობაში შედის ფრინტას - *Anemone fasciculata* -ს მასობრივი და სრული ყვავილობის ფაზაში. მათი ყვა-



ცილოზის ფაზები განსაზღვრულ დროს თანამთხვეულია და სწორედ ამ ხანშია ასპექტი განსაკუთრებით ხატოვანი - მწვანე ფონზე უხვადაა მიმოფანტული მედგარის დიდი ყვითელი ყვავილები და ფრინტას ქათქათა-თა თეთრი ყვავილებები. თუმცა არც ამის შემდეგაა ასპექტი დამცხრალი. ამ დროს ასპექტი მეტად ორიგინალურია - მწვანე საერთო ფონზე ცენოზში თანაბრადაა განაწილებული ფრინტას თეთრი ყვავილები და მედგარას ცხადარა, მზინანი სფერული ნაყოფელები. ამ ასოციაციის ბალახნარის ფიტომასის 95%-ზე მეტი ნაირბალახეულობაზე მოდის. მარცვლოვანებიდან მონაწილეობს მხოლოდ *Festuca djimilensis* და *Calamagrostis arundinacea*, ხოლო პარკოსნებიდან *Vicia balansae*. მორფოლოგიური და სინუზიური სტრუქტურით, აგრეთვე სახეობრივი შემადგენლობით, პოლიდომინანტური ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების მსგავსია, მაგრამ სინუზიური შედგენილობით უფრო მარტივია და მცირე სიმრავლით გვხვდება ფართოფოთლიანი ნაირბალახების უმეტესობა. უძოვრიან- და მედგარიან-ფრინტიანებში ნიადაგის ზედაპირზე ხშირად მოგებულა მცენარეთა სუსტად დაშლილი ღეროების ნაშთი, რომელიც უმეტესად მთავარი ცენოტიპებისაგან არის შემდგარი.

უპირატესად ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების გავრცელების ზედა მიჯნასთან განვითარებულია ნემსიწვევრიან-ფრინტიანი *Anemone fasciculata* -ს და *Geranium gymnocaulon* -ის დომინანტობით. ამგვარი ფიტოცენოზები ორიარუსიანია; ბალახნარი შეკრულია ქვედა მათგანში, ნემსიწვევრას სიმადლის დონეზე. ამ იარუსის პროექციული დაფარულობა საშუალოდ 80%-ია, ხოლო ზედასი 35%-მდე, საერთო დაფარულობა კი 100%-მდე აღწევს. ფრინტიანების ზემოაღწერილი ასოციაციებიდან განსხვავდება განვითარების რიტმით და სინუზიური შედგენილობის სირთულით. მასში ცენოზის სუბდომინანტის - ნემსიწვევრას ყვავილობის ფაზის დაწყება ემთხვევა ასოციაციის ედიფიკატორის ნაყოფმწიფობის საწყის საფეხურს. ფიტოცენოზის მიწისზედა და მიწისქვეშა შრე გაჯერებულია ფიტომასით. ძირითადი კომპონენტე-



ბის ვეგეტატიური თუ გენერაციული განახლება დამაკმაყოფილებელი თუმცა აღმონაცენთა აბსოლუტური უმეტესობა მალე იღუპება ვად ამისა ფიტოცენოზში ყოველწლიურად უხვად გვხვდება აღმონაცენები, რაც თესლის მწიფობის გამუდმებული სტაბილურობის მაჩვენებელია.

უძოვრიანი მდელო. ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების ფორმაციათა ჯგუფიდან სვანეთისათვის დამახასიათებელია უძოვრიანის ფორმაცია, რომელიც *Trollius patulus* -ის ელიფიკატორებით არის შექმნილი. ასეთი მდელოების ერთი ასოციაცია სვანეთიდან ადრე აღწერა დოლუხანოვმა, მ.სახოციამ და ა.ხარაძემ (1946). ეს ფორმაცია სვანეთში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ უმეტესად მცირეფართობიანი ნაკვეთები უკავია სხვა ტიპის მდელოებთან კომპლექსში. მისი განვითარების ზედა ზღვარი 2900 მ-ზე მდებარეობს, ხოლო ქვედა -- 2400 მ-ზე ზღვის დონიდან. ფორმაციის მთავარი ცენოტიპი მართალია მონაწილეობს სხვა ტიპის ნაირბალახოვან მდელოებში, მაგრამ ცენოზებს ქმნის მეტად სპეციფიკურ ეკოლოგიურ გარემოში. როგორც წესი განვითარებულია ჩაზნექილ რელიეფზე, მთელ სავეგეტაციო პერიოდში ჭარბად ტენიან მთა-მდელოს ნიადაგებზე; უმთავრესად ყინვარული ცირკებისა და კარების საშუალო ან მცირეკანობიან ფერდობებზე და მათ გავაკებულ ძირებზე. ადგილსამყოფელის ტენით სტაბილური უზრუნველყოფა ხდება მდნარი თოვლის წყლებით.

სვანეთის მდელოებს შორის უძოვრიანები ფლორისტიკული შემადგენლობით ერთ-ერთი ღარიბი ფორმაციაა. ამასთანავე გამოირჩევა სინუზიური და მორფოლოგიური სტრუქტურის მეტისმეტი სიმარტივით. უმეტესწილად წარმოდგენილია რაყის ტიპის ერთიარუსიანი ფიტოცენოზებით. ზოგჯერ საჩინოდაა გამოსახული მიწისპირა იარუსი, რომელიც ხავსების სინუზითაა შექმნილი. იშვიათად ამ იარუსის დაფარულობა 20%-ს აღწევს, უმთავრესად ისეთ ცენოზებში, რომლებიც განვითარებულია ზომიერად ტენიან ადგილსამყოფელზე.



მთავარი ცენტრების ფესვთანური ფოთლების მასა ერთ ღოჭებზე ნიველირებული და უფოთლო გენერაციული ღეროები ამოშვერობა ტყედი იარუსის სახით. ამგვარი ცენტრებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ასპექტი ღომინანტი მცენარეების ყვავილობის ფაზაში - ხასხასა მწვანე სახეობო ფონი მოფენილია ასევე კაშკაშა ყვითელი ყვავილებით. ასეთი ასპექტიურობით ხასიათდება მაგალითად წმინდა უძოვრიანი - *Trolletum patulae purum* და ბაიიან-უძოვრიანი - *Trolletum patulae ranunculosum*. ამ უკანასკნელში სუბღომინანტია *Ranunculus svaneticus* ან, შედარებით იშვიათად, *Ranunculus acutilobus*. ეს ასოციაციები ფლორისტული შედგენილობით მეტად დარიბია, კონკრეტულ სანიმუშო ნაკვეთზე იშვიათად აღინიშნება 10 სახეობაზე მეტი; ამასთან მცენარეთა უმეტესობა, რა თქმა უნდა ღომინანტთა გარდა, მცირე სიმრავლით გვხვდება. ორივე ასოციაცია ერთიარუსიანია, საერთო დაფარულობა დაახლოებით 100%. ზოგჯერ განვითარებულია მწვანე ხავსების სინუზია მიწისპირა იარუსის სახით.

ზემოაწერილ ასოციაციებთან შედარებით ფლორის შემადგენლობით უფრო მდიდარია, ხოლო სინუზიური სტრუქტურით გაცილებით რთული ნაირბალახოვან-მარცვლოვან-უძოვრიანი (*Trolletum patulae graminosomixtoherbosum*). ასეთი ფიტოცენოზები განვითარებულია უძოვრიანების გავრცელების ქვედა მიჯნასთან კარგად განვითარებულსა და ტენიან ნიადაგებზე. ფართოფოთლიანი და ვიწროფოთლიანი ნაირბალახელობის სინუზიებთან ერთად წარმოდგენილია მეზოფილური მარცვლოვანების სინუზია, რომელიც შექმნილია ქვემოთ დასახელებული ხახეობებით: *Agrostis planifolia*, *Calamagrostis arundinacea*, *Colpodium colchicum*, *Deschampsia flexuosa*, *Poa iberica* და სხვა. როგორც ჩანს, ამგვარ ადგილებზე ხდება წყლის რეჟიმის გაუარესება და ამით უნდა იყოს პირობადებული მარცვლოვანების სინუზიის განვითარება. ადგილსამყოფელის ამავე მიმართულებით განვითარების



შემთხვევაში მოსალოდნელია უძოვარას თანდათანობითი დეგრესია და სხვა ტიპის ნაირბალახოვანი-მარცვლოვანი მდელოს წარმოქმნა.

უძოვრიან მდელოებს პირუტყვი ჩვეულებრივ არ ეკარება და სა-თივედაც უვარჯისა, რადგან ბალახნარის ძირითადი კომპონენტები შხამიან ნივთიერებებს შეიცავს. ნაწილობრივ ამითაცაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ნიადაგის ზედაპირზე ხშირად მოგებულია მცენარე-თა დაუშლელი ნაშთი.

მედგარიანი მდელო. მედგარიანი მდელოების მთავარი ცენტრი - *Pulsatilla aurea* - ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების კონსტანტური კომპონენტია. მისი კონდომინანტობით არის შექმნილი ამგვარი მდელოების პოლიდომინანტური ტიპები, ხოლო ზოგიერთ ასოცია-ციაში სუბდომინანტია. ასე რომ განსაზღვრულ ეკოლოგიურ გარემოში იგი ედიფიკატორულ ბუნებას ამჟღავნებს. ამის მიუხედავად მისი დომინანტობით შექმნილი ფიტოცენოზები - მედგარიანი მდელოები, სვანეთის მთიანეთში შედარებით იშვიათად გვხვდება. საქართველოს ამ მთიან მხარეში აღწერილია მედგარიანი ძორი ასოციაცია, რომლებიც განვითარებულია ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების გავრცე-ლების ზედა მიჯნასთან, ზღვის დონიდან 2500-2800 მ-ის ფარგლებში. იგი ჩვეულებრივ ვითარდება ზომიერად ტენიანსა და კარგად ჩამოყალი-ბებულ, მთა-მდელოს მცირედხირხატიან ნიადაგებზე. უმეტესად გვხვდე-ბა სვანეთის კავკასიონის მთავარ მთაგრეხილზე ადიშის ხეობიდან ზაგარის ზეკარამდე და სვანეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ჩრდი-ლოეთის კალთაზე, აგრეთვე ამ უკანასკნელი ქედის დასავლეთ მონაკვეთ-ზე - ხელელუას ხეობის მარცხენა შენაკადის - სკიმერის (მანანაუ-რის დეღე) სათავეში.

მედგარიანი მდელო სინეკოლოგიურად ფრინტიანებს უახლოვდება და ამიტომაცაა, რომ ისინი სვანეთში ტყუში ასოციაციებით არის წარმოღ-გენილი. მედგარიანი ფიტოცენოზებისათვის დამახასიათებელია საკმაოდ



უხვი,ორიარუსიანი ბალახნარი. ზედა იარუსში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მედგარს, მაგრამ მისი ფესვთანური, ფოთლების მასა ძირითადად თავმოყრილია ქვედა იარუსში და ბალახნარიც ამ დონეზეა შეკრული. ამ იარუსის დაფარულობა მეტწილად 85%-ია, ხოლო საშუალო სიმაღლე 25 სმ. ძირითადი მიწისზედა ფიტომასა ცენოზის ამ შრეშია მოქცეული. ზედა იარუსის სიმაღლე 35 სმ-ია და სითბური ენერგიით უფრო კარგად უზრუნველყოფილ ადგილსამყოფელზე გაცილებით მაღალია, ხოლო დაფარულობა 20-30%. ამგვარი მდელო ფლორის შედგენილობით საკმაოდ მდიდარია, სანიმუშო ნაკვეთზე საშუალოდ აღრიცხულია 25 სახეობა. მასში აღრიცხული სახეობების აბსოლუტური უმეტესობა ნაირბალახეულობას მიეკუთვნება. მარცვლოვანებიდან და ისლებიდან აღნიშნულია თითო-ორი სახეობა, ისიც მცირე სიმრავლით; ხოლო პარკოსნებიდან არ არის ფიქსირებული არც ერთი სახეობა.

მედგარიანი ფიტოცენოზების არსს განსაზღვრავს ფართოფოთიანი ნაირბალახეულობის სინუზია, რომელშიც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მედგარს - *Pulsatilla aurea* -ს. კარგად არის გამოხატული აგრეთვე ვიწროფოთოლა ნაირბალახეობის სინუზია, რომლის კონსტანტური სახეობებიდან შეიძლება დავასახელოთ *Tripleurospermum caucasicum*, *Veronica gentianoides*, *Senecio caucasigena* და სხვა. განვითარებულია გეოფიტების სინუზია, რომელიც მხოლოდ ორი სახეობით არის შექმნილი, ესენია: *Fritillaria latifolia* და *Ornithogalum schmalhauseni*. ორივე სახეობა განვითარების ციკლს ამთავრებს ზაფხულის პირველ ნახევარში და აგვისტოს დამდეგიდან ფიტოცენოზში მხოლოდ მათი მწიფე ნაყოფების პოვნაა შესაძლებელი. ამ სინუზიის არსებობა თუ არარსებობა ცენოზის მორფოლოგიური სტრუქტურის არსს არსებითად არ ცვლის.

სვანეთის მთიანეთში საკმაოდაა გავრცელებული ნემსიწვერიანი მედგარიანი (*Pulsatilla aurea* - *Geranium gymnocaulon*), ხოლო

მეორე ასოციაცია შედარებით იშვიათია, ასეთია ბაიიანი-მედგარიანი (*Pulsatilla aurea - Ranunculus raddeanus*). ორივე ასოციაციის ფიტოცენოზები განვითარებულია მცენარეულობის ბუნებრივი ცვლის შედეგად და ალპური მცენარეულობის შედარებით სტაბილური ანუ კლიმაქსური ტიპების კატეგორიას მიეკუთვნებიან. ასეთი მდელოები სათივედ ან საძოვრად გამოუსადეგარია, რადგან ფიტომასის 60-80% უხამიან მცენარეებზე მოდის.

სუბალპური ნემსიწვერიანი მდელო. სვანეთის სუბალპური მცენარეულობის კომპლექსში ფრაგმენტულად - მცირე ფართობზე აღნიშნულია მარცვლოვან-ნაირბალახოვანი ნემსიწვერიანის ორი ასოციაცია. ერთ მათგანში დომინანტობს *Geranium renardii*, ხოლო მეორეში - *Geranium ibericum*. ეს მცენარეები საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკოლოგიური ბუნებით, ხოლო მათი დომინანტობით შექმნილი ფიტოცენოზები - სინეკოლოგიურად და ფლორის შედგენილობით.

ნემსიწვერიანის ერთი ასოციაცია - *Geranietum renardii graminoso-mixtoherbosum* - ჩვეულებრივ ვითარდება საშუალო ქანობიან სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მშრალსა და ხირხატიან ნიადაგებზე 2000-2300 მ-ზე ზღვის დონიდან. იგი წარმოქმნილია სუბალპური ფიჭვნარების ანტროპოგენური დეგრადაციის პროცესში. მცენარეულობის სუკცესიის ანტროპოგენურ რიგში იგი ხანგრძლივი სტადიის სახითაა წარმოდგენილი. ნემსიწვერიანის ეს ტიპი გაცილებით ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ კავკასიონზე და საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი აქაც სერიული ფიტოცენოზებისგან შედგება და განვითარებულია ფიჭვნარების ანტროპოგენური დეგრადაციის შედეგად. ნემსიწვერიანის ეს ასოციაცია ფლორის შემადგენლობით მდიდარია, ხოლო სინუზიური და მორფოლოგიური სტრუქტურით საკმაოდ რთული. ფიტოცენოზთა შენებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლოვანებისა და ნაირბალახეულობის სინუზიებს. ამ უკანასკნელის შინაარსს განსაზღ-



ვრავს მთავარი ცენოტიპი. მასთან ერთად მონაწილეობს *Betonica grandiflora*, *Ranunculus creophilus*, *Pastinaca armena* და სხვა.

განვითარებულია აგრეთვე პარტოსანი მცენარეების სინუზია, რომელსაც კმნის *Trifolium ca. escens*, *Genista svanica*, *Trifolium amblygamm* და სხვა. ხშირად განვითარებულია აგრეთვე ნახევრადბუჩქებისა და ხავსების სინუზიები, მაგრამ მეტწილად დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ. ამგვარი ნემსიწვერიანი ჩვეულებრივ მონაწილეობს ისეთი მცენარეულობის კომპლექსში, სადაც უეჭველადაა წარმოდგენილი იელნარი და ღვიიანი, რომლებიც ნემსიწვერიანის მსგავსად ფიჭვნარების ნაალაგარზეა წარმოქმნილი.

ნემსიწვერიანის მეორე ასოციაცია - *Geranietum ibericae* *graminoso-mixtoherbosum* - შედარებით მეზოფილურ ეკოლოგიურ გარემოშია განვითარებული. ხასიათდება მაღალი ბალახნარით და თითქმის სრული დაფარულობით. ვითარდება ქანობიან რელიეფზე 2100-2500მ-ზე ზღვის დონიდან, საშუალო სისქის, საკმაოდ ხირხატიან მთა-მდელოს ზომიერად ტენიან ნიადაგებზე. ფიტოცენოზთა სინუზიური და მორფოლოგიური სტრუქტურა კარგადაა გამოხატული. ზედა იარუსში წარმოდგენილია მარცვლოვანთა სინუზია; მისი პროექციული დაფარულობა 15-20%. ბალახნარის დაფარულობა ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე იარუსში, რომელსაც ფართოფოთლიანი ნაირბალახეულობა კმნის. ამ სინუზიის ძირითადი კომპონენტია *Geranium ibericum*. ქვედა იარუსში წარმოდგენილია დაბალი ნაირბალახეულობის და პარკოსნების სინუზიები. იშვიათად განვითარებულია ხავსების მიწისპირა იარუსი, მაგრამ მისი დაფარულობა ყოველთვის უმნიშვნელოა. დომინირებული მცენარეების მცირე კვებითი ღირსების მიუხედავად ნემსიწვერიანების ეს ორი ასოციაცია საშუალო ბონიტეტის საკვებ სავარგულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მათში საკმაოდ მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს მარცვლოვანებს და პარკოსნებაც შედარებით მეტი სიმრავლითაა.



მართალია ეს ნემსიწვერიანებს არ შეეხება, მაგრამ ჩვენი აზრით, საინტერესოა აღინიშნოს ერთი გარემოება. კერძოდ ეს, რომ საქართველოს მთიანეთში მხოლოდ ორ ადგილას აიწევა მზიურიანის ფრაგმენტები, სადაც ცოტად თუ ბევრად გამოხატულია ამგვარი ფიტოცენოზების არსი. მაშინ როცა აღმოსავლეთ კავკასიონზე მზიურიანები და მზიურას კონდომინატობით შექმნილი ცენოზები, როგორც ეს შესაბამისი ლიტერატურიდანაც ჩანს, საკმაოდაა გავრცელებული. ამგვარ ფიტოცენოზებში დომინანტობს *Imula orientalis*. უფრო მეტად საყურადღებოა, რომ ჩვენი მასალების მიხედვით, სვანეთში მეტისმეტად შეზღუდულია აგრეთვე მზიურას ხსენებული სახეობის ცენოტიკური პოზიციები. იგი იშვიათად გვხვდება ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების ცენოზებში, მაშინ როცა აღმოსავლეთ კავკასიონის და საერთოდ აღმოსავლეთი კავკასიის მთიანეთის, ანალოგიური ტიპის მდელოების კონსტანტური კომპონენტია.

ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოების ცენოზებში გაბატონებული სახეობების უმეტესობას საქონელი არ ძოვს, ამიტომ როგორც ბუნებრივ საცვებ სავარგულს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა მიწისზედა ფიტომასის უხვი მოსავლიანობის გამო, როგორც ეს შესაბამის ლიტერატურაშია (ყავრიშვილი, 1965) მითითებული, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უხეშ საცვებად. ბალახნარის სიუხვისა და დიდი შეკრულობის გამო ამგვარი სავარგულებიდან ნიადაგის ზედაპირული ჩამორეცხვა უმნიშვნელოა, მაგრამ საძოვრის ზედმეტი დატვირთვის შემთხვევაში ამ ტიპის მდელოები განიცდის დეგრადაციას და ეროზიული პროცესების ინტენსივობა განუხრელად მატულობს.

К. Р. Кимеридзе, Г. Д. Арабули



К изучению широколиственных разнотравных лугов

Сванетии

Резюме

Широколиственные разнотравные луга являются характерными компонентами комплекса высокогорной растительности бассейнов рек Ингури и Цхенисцкали, во многих местах определяя сушность фито-ландшафта в нижнеальпийском и в субальпийском поясах, а на некоторых горных массивах распространяясь до верхнего предела развития сомкнутой травяной растительности. Рассматриваемые типы лугов в Сванетии типологически являются весьма разнообразными. В работе дается фитоценологическая характеристика основных типов, в частности установлены закономерность пространственного распределения их в зависимости от условий физико-географической среды, биоэкологические свойства и своеобразие возобновления главнейших доминантов этих лугов, а также ценотическая позиция их в современных экосистемах высокогорий Сванетии.



- კაცხოველი ნ. 1959. საქართველოს მცენარეული საფარი. კავკასიონის ქიმიური კ., მარდაღიშვილი თ. 1980. კავკასიონის ალპური მცენარეული წვერიანი მდელოების ერთი ტიპის შესწავლისათვის. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXX-ა.
- Ахвердов А. и Долуханов А. Г. 1930. Очерк растительности летних пастбищ Карабахского хребта. Труды по геоботанич. обслед. пастбищ ССР Азербайджана, сер. В, вып. 3.
- Буш Н. А. и Е. А. 1936. Растительный покров Юго-Осетии и ее динамика. Труды СОПС, сер. Закавказская, 18.
- Гаджиев В. Д. 1967. Субальпийская растительность Большого Кавказа / в пределах Азербайджана /. Баку.
- Гроссгейм А. А. и Ярошенко П. Д. 1929. Очерк растительности летних пастбищ Нухинского уезда. Труды по геоботан. обслед. пастбищ ССР Азербайджана, сер. В, вып. 1.
- Гроссгейм А. А. 1948. Растительный покров Кавказа. М.
- Гулисашвили В. З., Махатадзе Л. Б., Прилипко Л. И. 1975. Растительность Кавказа. М.
- Долуханов А. Г., Сахокиа М. Ф., Харадзе А. Л. 1946. Основные черты растительного покрова Верхней Сванетии. Труды Тбилисского ботан. инст. т. 9.
- Кавришвили Л. Н. 1965. Естественные кормовые угодья / сенокосы и пастбища / Грузинской ССР. Природные ресурсы Грузинской ССР, т. 6, М.
- Колаковский А. А. 1961. Растительный мир Колхиды. М.
- Магакьян А. К. 1941. Растительность Армянской ССР. М.-Л.
- Сосновский Д. И. 1915. Очерк растительности Верхней Сванетии. Вестн. русск. флоры, т. 1, вып. 3, Юрьев.
- Шифферс Е. В. 1953. Растительность Северного Кавказа и его природные угодья.



დ.ოჩიაური, გ.არაბული

ახალი ხოროლოგიური მასალები საქართველოს ფლორის ზოგიერთი სახეობისათვის

1978-82 წლების გაზაფხულზე (IV-V) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკურ ექსპედიციებში მუშაობისას მდ.ლიახვის, ქსნის, ოთხივე არაგვის, არღუნის სათავეებში, თუშეთში, სტორისა და ბაწარას ხეობებში საკმაოდ მრავალფეროვანი საჰერბარეო მასალა შეგროვებთ; მათ შორის საქართველოს ფლორისათვის ახალი და ხოროლოგიური თვალსაზრისით რამდენადმე საინტერესო სახეობები, რომელთა გამოქვეყნება საჭიროდ მიგვაჩნია, განსაკუთრებით საყურადღებოა ფლორისტიკული მასალები თუშეთიდან.

საქართველოს ფლორისათვის ახალია:

Arabis mollis Stev. 1812, Mem. Soc. Nat. Moscou 3:270; - V-VI.

მთის შუა და ზედა სარტყელში ტენიან კლდეებზე ნაკადულის ან მდინარის პირად. კავკასიის იშვიათი სახეობაა; გავრცელებულია დაღესტანში. გვხვდება იშვიათად, შეგროვებთ თუშეთში, სოფ.ომალოსა და დართლოს შორის.

NOVITAS PRO FLORA GEORGICA

Erysimum meyerianum (Rupr.) N. Busch, 1909, Fl. cauc. crit. III,

4:533; V-VI-მთის შუა და ზედა სარტყელში. ვითარდება პირველადი გამოფიტვის ქერქზე - მოშიშვლებულ ნიადაგებზე. კავკასიიდან ყუბანისათვის მიუთითებენ.

NOVITAS PRO FLORA GEORGICA

Kemulariella rosea (Stev. ex Bieb.) Tamamsch. 1959, შპ. СССР

25:115; V-VI-მთის ზედა სარტყელში, განათებულ ადგილებში, ნაკადულის პირას სველ კლდეებზე. კავკასიის ენდემური სახეობაა, გავრცელებულია დაღესტანში. გვხვდება იშვიათად. შეგროვებთ თუშეთში სოფ.ომალოსა და ხახაბოს შორის, აგრეთვე სოფ.ომალოსა და დართლოს შორის.

NOVITAS PRO FLORA GEORGICA



Veronica dillenii Crantz 1769. Stirp. austr. IV:352; V-სუბ-
 ალპურ სარტყელში მშრალ ყვრობებზე. საქართველოსათვის
 თებენ-აიგივებდნენ *Veronica verna* -სთან, გულდასმით
 სას და სათანადო მასალებთან შედარებისას აშკარა ხდება ამ ორ სა-
 ხეობას შორის სხვაობა. ისინი კარგად განსხვავდებიან ნაყოფის შე-
 ბუსვით, სვეტის ზომით, საერთო შაბიტუსით და სხვ.

NOVITAS PRO FLORA GEORGICA

Nardosmia fominii Bordz. 1915, Зап. Киевск. общ. естест. XXV:123,
 V-სუბალპურ სარტყელში (არყნარებში) ღორღიან ნიადაგებზე მთის
 ჩანჩქერთა კალაპოტის გასწვრივ. მთავარი კავკასიონის ენდემური
 სახეობაა. საქართველოში გვხვდება იშვიათად, შეგვირბეთ მხოლოდ
 ერთხელ ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე ლომისას მთაზე.

Petasites georgicus Mand. 1947, Зам. по сист. геогр. раст. Тбилиси,
 13:76; -IV-V მთის შუა და ზედა სარტყელში. ტენიან ხევებში. კავ-
 კასიის ენდემური სახეობაა, ლიტერატურის მიხედვით გავრცელებულია
 ქართლში. შეგვირბეთ ხევსურეთში, თუშეთში და კახეთში (გომბორი),
 სტორის ხეობა (თორღვას აბანო).

Trachistemon orientalis (L.) D. Don 1832, Edinb. New. phil.
 Journ, XIII:239; IV-V მთის ქვედა და შუა სარტყელში, მდინარისპი-
 რულ ტერასებზე, ტყის პირებზე, გარბად ტენიან გარემოში. მითითებუ-
 ლია დასავლეთ საქართველოსათვის, გვხვდება ბორჯომის ხეობაში,
 მ.მელიქიშვილს იორზე შეუკრებია, ჩვენ კახეთში - ბაწარას ხეობაში.
Chorispора tenella P. DC 1821, Sist. II:435 IV-V მთის შუა
 სარტყელში რიყებზე. საქართველოს ფლორის მიხედვით ორიალეთსა, ქვე-
 მო ქართლსა და მესხეთში გვხვდება. ჩვენ მხოლოდ ერთხელ შეგვირ-
 ბეთ ვშავეში, სოფ. შუაფხოს მიდამოებში. შესაძლებელია შემთხვევით
 იყო გზადმოყოლილი.

Erysimum substrigosum (Rupr.) N. Busch 1909, Fl. cauc. crit.



III, 4:533; IV-VI მთის შუა და ზედა სარტყელში. მშრალ გორაკებსა და ფერდობებზე. კავკასიის ენდემური სახეობაა, აღწერილია დადესტნიდან. მიუთითებენ ყაზბეგისათვის. ჩვენ თუშეთში სოფ.ომალის მიდამოებში შევკრიბეთ.

Cerastium holosteam Fisch. ex Hornem. 1813, Hort. Hafn. : 434;

V-VI მთის შუა სარტყელში. ველობებზე. გავრცელებულია ჩრდილო კავკასიაში. მხოლოდ მთიულეთისათვის (თერგის აუზი) მიუთითებენ. ჩვენ არაგვის აუზში, სოფ. შუაჯხოს მიდამოებში შევკრიბეთ.

Silene spergulifolia (Desf.) Bieb. 1819, Fl. taur. caucasica

III:305; VI-VII იზრდება მშრალ ფერდობებზე მთის შუა სარტყელში. საქართველოსათვის სამხრეთით მიუთითებენ (ქართლი, ბორჯომი, ახალქალაქი და სხვ.) ენობილია დადესტნიდან, თუშეთში სოფ.ომალის მიდამოებში შევკრიბეთ.

Genista mingrelica Alb. Prodr. Fl. Colch. 52. 1895; იზრდება

მშრალ ფერდობზე. შევკრიბეთ ლიხვის ხეობაში. კავკასიის ღენდროფლორის IV ტომში აგრეთვე მიუთითებენ სამხრეთ ოსეთისათვის ჩვენი მასალები ადასტურებს რომ სამეგრელოს კირქვებისათვის დამახასიათებელი ეს სახეობა ქართლშიც გვხვდება.

Lathyrus miniatus M. Bieb. ex Stev. 1856, Bull. Soc. Nat. Vosc.

XXIX, 2; მთის შუა სარტყელში ტყის პირებსა და ბუჩქნარში. თუშეთში-ხევსურეთისათვის პირველად შევკრიბეთ სოფ.ომალის მიდამოებში.

Corydalis vittae Kolak. 1946, Докл. АН Арм. ССР 5, 3:87

V. მთის შუა სარტყელში, ბუჩქნარში. ლიხვის ხეობაში ერწოს ტბის მიდამოებიდან შეკრიბილი დეზურას ნიმუშები ასე ირკვევა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ გვარის თუშეთში აღებული ნიმუშები, რომლებიც რუპრეხტის მიერ თუშეთიდან აღწერილი *C. pallidiflora* უნდა იყოს, სახეობის ზუსტად დასადგენად და გასარკვევად თუ რას

წარმოადგენს ღებურას ამ რიგის სხვა სახეობები, საჭიროა დამატებითი საჰერბარიუმო მასალის აღება კლასიკური ადგილიდან — აღმოსავლეთ კავკასიონზე მ. შავი კლდის (კარტიანი) მიდამოებიდან — თუნი-თიდან დაღესტნისაკენ მიმავალ გზაზე.

Globularia trichosantha Fisch. et Mey. 1838 (1839) Ind. V, Horti petrop. 36; V-VII იზრდება მთის შუა სარტყელში ბალახოვან ფერდობებზე. მითითებულია ერმანისათვის (ლიახვის ხეობა), საგურამოს მიდამოებისათვის, ჩვენ მხოლოდ ერთხელ შევცარიბეთ ხადას ხეობაში ქოროლს ციხის მიდამოებში.


Primula luteola Rupr. 1863, Bull. Acad. Sc. Petersb. VI : 233; IV-V მთის შუა (მუცო) და ზედა სარტყელში (წოვათა, ეთელთის ხორხი). ნაკადულის პირებზე, სველ კლდეებზე. აღმოსავლეთი კავკასიონის ენდემური სახეობაა. პირველად შევცარიბეთ ამიერკავკასიიდან — კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან — სტორის ხეობაში.

Saxifraga colchica Alb. 1895, Prodr. : 96; V-VI ტყის სარტყელში სველ კლდეებზე. საქართველოს ენდემური სახეობაა. როგორც ცნობილია, სტორის ხეობაში ვხვდებით კოლხური ფლორის ელემენტებს, ამ ფხიჯას აქ პოვნაც საყურადღებოა. მითითებულია დასავლეთ საქართველოსათვის.

Pedicularis armena Boiss. et Huet 1856, Diagn. Ser. III : 175; ალპური სარტყლის მდელოებზე. საქართველოს ფლორის მიხედვით გაცრეცილებულია ქართლსა და ჯავახეთში, თუშეთში შევცარიბეთ.

Physochlaina orientalis (Bieb.) G. Don fil. 1838, Gen. Hist., IV: 470; V-VI მთის შუა სარტყელში, კლდის ძირებსა და ნაპრალებში, იზვიათად გვხვდება. კავკასიონის მთავარ ქედზე დაღესტნისა და ყაზბეგისათვის მიუთითებენ. თერგზე მხოლოდ ერთი პუნქტიდანაა შეკრებილი. ჩვენ ვშავში სოფ. გოგოლაურთის მიდამოებში (ზარის ვაღა), და ხევსურეთში, შატღილში შევცარიბეთ. (მუცოს ვაღა, გიორწმიდასა და შატღის შორის, კლდეთა ნაპრალებში).

Convallaria transcaucasica Utkin ex Grossh. 1929, Иур.



Русск. сот. общ. I 4:187; V მთის შუა სარტყლის ტყეებში, ბუჩქნარში; უმაჯრესად წიფლნარებშია გავრცელებული. ფშავ-ხევსურეთისათვის პირველად შევკრიბეთ სოფ. ბარისახოს მიდამოებში, არაგვის მარცხენა მხარეს ბუჩქნარში. *Eremurus spectabilis* Bieb. Fl. taur. cauc.

III: 269; V მთის შუა სარტყელში კლდეებზე. გვხვდება იზვიათად, სპორადულად. შევკრიბეთ ხევსურეთისა და ფშავის არაგვის ხეობებში (სოფ. შუაფხო, დულის ვალა, ორწყალი - კლდეებზე) და ლიახვის ხეობაში ბადიათთან.

Erythronium caucasicum Woronow 1933, Тр. Ботанического инст.

АН СССР Сер. I; I; მთის შუა და ზედა სარტყლის ტყეებში. კოლხური ფლორის ელემენტია. მიუთითებენ აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შევკრიბეთ ლიახვის ხეობაში. სოფ. კეხვსა და თირის მონასტერს შორის, მუხნარში.

Gagea caroli Kochii Grossh. 1935, Фл. СССР, IV, 99 et Addenda

III : 736; V მთის შუა და სუბალპურ სარტყელში მდელოებზე ბუჩქნარში. ლიტერატურული წყაროების მიხედვით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემს წარმოადგენს. ეს სახეობა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით - თუშეთში შევკრიბეთ.

Merendera raddeana Regel 1881, Gardenflora : 244; V ალ-

პურ სარტყელში თოვლის პირებზე, მდელოებზე. სახეობა საქართველოში მხოლოდ სამხრეთი კავკასიონიდან იყო შეკრიბილი. ითვლება ჩრდილო-ირანული მთის გეოგრაფიულ ელემენტად. ჩვენი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ იგი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ კავკასიონის ხეობათა სათავეებში სუბალპურსა და ალპურ სარტყელში, უპირატესად თოვლის ლაქების სანაპირო ზოლში მდელოებზე. შევკრიბეთ ლიახვის, ქსნის, ოთხივე არაგვის სათავეებში, ასევე თუშეთში.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენ მასალებში მრავლადაა სახეობები, რომლებიც პირველად აღინიშნა ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთისათვის.

НОВЫЕ ДАННЫЕ ХОРОЛОГИИ НЕКОТОРЫХ ВИДОВ РАСТЕНИЙ

ФЛОРЫ ГРУЗИИ

Резюме

Авторы в продолжении ряда лет исследовали ранецветущие растения Восточной части Большого Кавказа. В результате был собран обширный материал. В статье публикуются новые данные по хорологии ряда видов флоры Грузии, из которых 4 вида (*Kemulariella rosea* (Stev. ex Bieb.) S. Tamamsch., *Arabis mollis* Stev., *Veronica dillenii* Grantz, *Erysimum meyerianum* (Rupr.) Busch) впервые были собраны из территории Грузии.

საბოტანიკო ბაღი ЛИТЕРАТУРА

- Буш Н.А. 1905. Род *Corydalis* L. в кн. Материалы для флоры Кавказа. III, 4.
- Гроссгейм А.А. 1949. Определитель растений Кавказа, Москва.
- Давлианидзе М.Г. 1976. Кавказские представители рода *Gagea Salisb.* Тбилиси.
- Еленевский А.Г. 1978. Систематика и география вероник СССР и прилегающих стран. Москва.
- Тамашян С.Г. 1959. Род *Kemulariella* Tamamsch. в кн. Флора СССР т. 25.

თ. მაღალაშვილი-ყანჩაველი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული
შუა აზიის ჰერბარიუმი

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკის განყოფილება ღიბხანს იყო კავკასიის მცენარეულობის შესწავლის ადგილობრივი მეცნიერული ცენტრი. ამის გამო აქ თავმოყრილია კავკასიის ფლორის ძველი მკვლევარების კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა კავკასიის მცენარეთა ჰერბარიუმისა მუზეუმის ფონდებში დაცულია საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფლორის ჰერბარიუმიც. ჰერბარიუმი ცალკე ფონდებზე არის დაცული. კოლექცია მეცნიერულად დამუშავებულია. ერთ-ერთ ფონდს წარმოადგენს შუა აზიის ჰერბარიუმი, რომლის მიმოხილვასაც მიზნად ისახავს წინამდებარე ნაშრომი.

შუა აზიის კოლექცია მოპოვებულია ბოტანიკოსთა მრავალი თაობის მიერ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან დადევანდღამდე. დაგროვილია ექსპედიციებისა თუ მივლინებების, შემოწირულობისა და გაცვლის შედეგად, ძირითადი ნაწილი ამ კოლექციისა შედგება სამამულე მკვლევარების მიერ მოპოვებული მასალისაგან. მათ შორის არის ცალკეული ეგზემპლარებიც, შეგროვებული სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კოლექტორის მიერ. დაცულია აგრეთვე უცხო კოლექტორის სინტენისის (Sintenis) მიერ მოპოვებული მასალაც.

შუა აზიის კოლექცია მოთავსებულია 40 საჰერბარიუმო ყუთში. სადდებისოდ მოიცავს 68 ოჯახის, 345 გვარის, 872 სახეობის 1849 ნიმუშს. თითოეულ ეგზემპლარს აქვს თავისი საინვენტარო ნომერი. ბოტანიკის განყოფილების შუა აზიის საინვენტარო დავთარში №1 დღეისათვის თანმიყოლებული ნომრით გატარებულია 1557 ეგზემპლარი. დანარჩენი 291 ეგზემპლარი გადმოტანილია საერთო ჰერბარიუმიდან, რომელთაც საერთო ჰერბარიუმის საინვენტარო ნომერი აქვთ შერჩენილი.



ამათგან 86 ეგზემპლარი საერთო ჰერბარიუმის საინვენტარო ნომრით შეტანილია შუა აზიის საინვენტარო დავთარში, დანარჩენის შესახებ კი მითითებულია საერთო ჰერბარიუმის საინვენტარო დავთარში სათანადო ადგილას, რომ იგი გადატანილია შუა აზიის ფონდში.

შუა აზიის კოლექცია შემოსულია სხვადასხვა დროს. შემოსულობის წელი, შემკრფის გვარი, შექმნის აფორმა (შემოწიროლობით, შესყიდვით თუ მივლინებით) და რაოდენობა დადგენილია ბოტანიკის განყოფილებაში დაცული პირველადი შემოსულობის დავთრების, ჰერბარიუმის ეტიკეტებისა და მუზეუმის ანგარიშების მეშვეობით. კოლექციის ნაწილი ექსიკატების, მიღებული ლენინგრადიდან და მოსკოვიდან, ხოლო უმეტესი ნაწილი გ. რადეს მასალაა, 1886 წელს შეგროვებული. შუა აზიის კოლექციის გაზრდა ამჟამადაც ხდება ჩვენი ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა ბოტანიკური საცავებიდან გაცვლით მიღებული მასალებით.

შუა აზიის კოლექციის დამუშავებისას თითოეული სახეობისათვის მის ეტიკეტზე აღნიშნული სახელწოდების მიხედვით დადგენილია დღევანდელი ტაქსონომიური რაობა. აღნიშნულია შუა აზიის მრავალი ვნდემი და აუთენტიკი ანუ სხვადასხვა კატეგორიის ნომენკლატურული ტიპი.

შუა აზიის კოლექციაში დაცულია განსაკუთრებული ბოტანიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მცენარეები. ეს რეგიონი მოიცავს უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის გარკვეულ ტერიტორიებს. ამ რეგიონის თავისებური რელიეფის გამო მცენარეულობა მრავალფეროვანია; აქ გვხვდება როგორც უდაბნოს და ნახევარუდაბნოს, ისე სუბალპური და ალპური მცენარეები. ჩვენ ფონდებში ამ რეგიონიდან წარმოდგენილია, როგორც უდაბნოს, ისე მაღალმთის სახეობები. ფონდებში არსებული მასალების მიხედვით აღნიშნული რეგიონი ძირითადად მოიცავს თურქმენეთის თითქმის მთელ დასავლეთ, სამხრეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს, კრასნოვოდსკიდან რეპეტეკამდე. ამ

ადგილებიდან შეგროვებული მასალა ძირითადად ეკუთვნით გ.რადეს, ვ.ლიპსკის, დ.ლიტვინოვს, ა.მიხელსონს, ა.ანდროსოვს, ვ.დუბინსკის, პ.სინტენის და სხვ. უზბეკეთის ცენტრალურ (ჯიზაკი, ბუხარა, სამარკანდ) ყანდი), ჩრდ.-აღმოსავლეთ (ტაშკენტი) და აღმოსავლეთ (ფერგანის ოლქი, კოკანდი, მარგელანი) ნაწილში მასალა შეგროვებულია ა.ვედენსკის, მ.პოპოვის, ბ.ფედჩენკოს, ლ.ბუბირის და სხვათა მიერ. ყაზახეთის მასალებიდან უმთავრესად მისი აღმოსავლეთი ნაწილის - სემიპალატინის ოლქისა და ჯუნგარის ალათაუს ანუ ჯუნგარის მთიანეთის - მასალები გვხვდება. იგი ა.შრენკის, ნ.შიპჩინსკის, გ.კარელინისა და ი.კირილოვის და სხვათა მიერაა მოპოვებული. კარელინისა და კირილოვის მიერ შეგროვებული მასალის უმთავრესი ნაწილი ჯუნგარის მთიანეთის - მდინარეების ლეპსასა და სარკანას ხეობებიდანაა. ყაზახეთის ცენტრალური ნაწილის (ირგიზი, თურქესტანი, ჩიმკენტი, არალსკი) მასალა ეკუთვნით ა.რეგელს, ო.კრონინგს, ზ.მინკვიცს, ი.რატოვას და სხვ. აღმოს. ყირგიზეთიდან - პრევევალსკიდან გვაქვს ვ.სამპოჟნიკოვის, ხოლო ტაჯიკეთიდან - სტალინაბადი კონჩაროვისა და ზაპრიაგაევას მიერ შეკრებილი მცენარეები.

ბოტანიკის განყოფილების საშემოსავლო დავთრების მიხედვით შუა აზიის მასალა მუზეუმში შემოდის 1929 წლიდან (ამ პერიოდში ბოტანიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ელ.ქიქოძე). მიღებული იყო შვეციიდან პ.სინტენისის მასალის ექსიკატები "Herbarium turco-persicum, trans caspicum orientalis", შემოსულობის ნომრით 223-29, სულ 407 საჰერბარიუმო ნიმუში. აქედან შუა აზიისათვის გამოყოფილია 108 ნიმუში. მასალა შეგროვებულია 1900 წლის ვაზაფხულსა და ზაფხულის თვეებში უმთავრესად აშხაბადიდან და 1901 წლის აგვისტო-სექტემბერში კრასნოვოდსკსა და ყიზილ-არვატიდან. აღნიშნული მასალა გარკვეულია ისეთი ცნობილი მკვლევარების მიერ, როგორც არიან ბორნმულერი (J. Bornmüller), ტუბერგენი (Tubergen), კუკენ-

ტალი (G. Kükental) და ჰასკელი (Haske1). ადნიშნული კოლექცია შედგება 12 ოჯახისა და 58 გვარისაგან. მათში შუა აზიის ენდემური სამი სახეობაა, ერთი აუთენტიკი - პარადიგმატოტიპის დაზღვევა.

დიდი ნაწილი ჰერბარიუმისა და ლუბლიკატი-ექსიკატები მუზეუმის ფონდებში მიღებულია გაცვლით და შექმნილ 1934 წელს ლენინგრადის (პეტროგრადის) ბოტანიკური ბაღიდან და ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიიდან. მასალა შეგროვებულია სხვადასხვა წლებში და სხვადა-სხვა კოლექტორების მიერ. ხშირ შემთხვევაში არის ერთი და იგივე კოლექტორის სხვადასხვა პერიოდში მოპოვებული მასალაც. ნაშრომში აღვნიშნავთ, რომელ კოლექტორს ეკუთვნის ესა თუ ის მასალა, რა რაოდენობით არის იგი შემოსული და როდისაა იგი შეგროვებული. აღვნიშნავთ აგრეთვე ზოგიერთი ცნობილი კოლექტორის მოღვაწეობის ძირითად მომენტებსაც. მცენარეთა შეგროვების წლები დალაგებულია ქრონოლოგიურად. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე კოლექტორის სხვადასხვა წლებში მოპოვებული მასალა გვხვდება, ქრონოლოგიურად მხოლოდ აღვნიშნავთ წლებს ექვსეა ყურადღება.

• ადნიშნული მასალიდან ყველაზე აღვნიშნავთ ა. შრენკის (1816-1876) მიერ ჯუნგარიისაში შეგროვებული 68 ნიმუშია. შრენკის მცენარეების უმრავლესობას ერთი ფორმის თეთრი, მოკრძო ეტიკეტები ახლავს, რომელზედაც ადნიშნულია: მცენარის სახელწოდება, "(teste Trautv.) Songaria. Schrenk". ასეთია 40 ეგზემპლარი. სამ ეგზემპლარზე სახეობის გამრკვევად ასევე ფრჩხილებში ანდერსონის გვარია მოცემული. არის მცენარეები, რომელთაც სახელწოდების შემდეგ მოსდევს მხოლოდ "Songaria". არის ისეთებიც, რომელზედაც ჯუნგარიისთან ერთად ადნიშნულია "Tschu und Laryssa. Schrenk". ზოგ ეგზემპლარებს აქვთ ასეთი ეტიკეტები: "Songaria. Balchasch. Schrenk" და "Songaria. Dshalanaskily. Schrenk". ორივე ეს სახეობა აუთენტიკურია. შრენკის მასალაში მხოლოდ და მხოლოდ ორი ეგზემპლარია, რომელთა ეტიკეტზე შეგროვების წელია ადნიშნული. ესენია. "Songa-


ria. 1884. "Schrenk" და "Songaria. In den Thälern des Dsham-
byl 7 Juli 1843. Schrenk". ეს ორი ეტიკეტი გვაძლევს საშუალებას
სხვა მცენარეებსაც, რომლებიც ჯუნგარიაშია შრენკის მიერ აღმო-
ღვა, ადუღინოთ მოპოვების წელი. ამასთან ერთად ლიტერატურული მონა-
ცემებიდანაც ჩანს, რომ 1843-1844 წწ-ში შრენკი ჯუნგარიაში მოგზა-
ურობდა (Липшиц С. 1968).

ა.კუშაკევიჩისა და ს.ნევსკის მიერ 1878 წელს სხვადასხვა
ადგილებიდან მოპოვებული მასალის თითო ეგზემპლარი ჩვენ ფონდებ-
ში. კუშაკევიჩი აპოლონ ალექსანდრეს ძე (1828-1882) იყო ენტომო-
ლოგი, ამავე დროს აგროვებდა მცენარეებს. შუა აზიიდან მცენარეების
შეგროვება დაუწყია 1870 წელს. მისი მასალის ძირითადი ნაწილი სა-
კავშირო მცენარეებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტშია. ნევსკი
სერგი არსენის ძე (1908-1938), ფლორისტი, სისტემატიკოსი, ლენინგრად-
ის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელი. დიდი დეაწლი მიუძღვის
ინსტიტუტში განსაკუთრებული ფონდის - ტიპების გამოყოფაში, რომელ-
საც იგი ვ.კრეჩეტოვიჩთან და ს.იუზებჩუკთან ერთად აწარმოებდა.

1879-1884 წწ სამარყანდისა და ბუხარის ოლქებში ა.რეგელის
მიერ მოპოვებული მასალებიდან ჩვენთან ინახება 31 ნიმუში. რეგე-
ლი ალბერტ ედუარდის ძე (?-1908) შუა აზიის ფლორას 10 წლის
(1876-1885) განმავლობაში იკვლევდა, რის შედეგადაც დიდი რაოდენო-
ბით მოიპოვა საინტერესო მასალა, რომელიც ლენინგრადის ბოტანიკის
ინსტიტუტშია დაცული.

1896, 1897, 1909 და 1912 წწ-ის სხვადასხვა ექსპედიციების
დროს ვ.ლიპსკის მიერ მოპოვებული მასალიდან აქ დაცულია 48 ეგზემ-
პლარი. ლიპსკი ვლადიმერ იპოლიტეს ძე (1863-1937), ცნობილი ბოტა-
ნიკოსი, დამთავრებული აქვს კიევის უნივერსიტეტი. 1928 წლიდან
საკავშირო მცენარეებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ჯერ
მუშაობდა კიევში, შემდეგ ლენინგრადის ბოტანიკურ ბაღში. ბოლოს
იყო ოდესის ბოტანიკური ბაღის დირექტორი (1928-1937). მისი ძი-

რითადი შრომები კავკასიის, შუა აზიისა და უკრაინის ფლორის შესწავ-
ლას ეხება.



1896-1898, 1914 წწ-ში დ. ლიტვინოვის მიერ თურქმენეთიდან შეგ-
როვებული მასალის 17 ეგზემპლარია. ლიტვინოვი დიმიტრი ივანეს ძე
(1854-1929) ცნობილი ბოტანიკოსი, დამთავრა მოსკოვის ტექნიკური
სასწავლებელი. გარდაცვალებამდე მუშაობდა ლენინგრადის მეცნიერე-
ბათა აკადემიის ბოტანიკის მუზეუმის მეცნიერ მცველად. იკვლევდა
შუა აზიის, კავკასიის, ციმბირის, რუსეთის ევროპული ნაწილისა და
მანჯურის ფლორას. შეგროვებული აქვს მრავალი საინტერესო მასალა.
შუა აზიის მისი ძირითადი ჰერბარიუმი სიცოცხლეშივე 1899 წელს სა-
ჩუქრად გადაუცია ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის
მუზეუმისათვის. ამ მუზეუმში თურქმენეთის მასალას პირველად ლიტ-
ვინოვის ჰერბარიუმით ჩაეყარა საფუძველი.

ორი ეგზემპლარია ვ. საპოჟნიკოვის მიერ 1902 და 1913 წწ-ში
მოპოვებული. საპოჟნიკოვი ვასილ ვასილის ძე (1861-1924), მოსკოვის
უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1893 წლიდან გარდაცვალებამდე
მუშაობდა ტომსკის უნივერსიტეტში პროფესორად. სწავლობდა ალტაისა
და სემირეჩიის ფლორასა და მცენარეულობას, საიდანაც მოპოვებული
აქვს დიდი მასალა. მის პატივსაცემად ტიან-შანის ორ მწვერვალს
და სამხრეთ ალტაის ერთ მყინვარს მისი გვარი აქვს მინიჭებული.

1906 წელს მოპოვებული მასალებიდან თურქმენეთის სოფლის მეურ-
ნეობის საცდელი სადგურის ორი ეგზემპლარია, რომლის ეტიკეტზე კო-
ლექტორი არ არის აღნიშნული. ამავე წელს შეკრებილი მასალიდან
რ. შრედერის ერთი და გ. მორენის ორი ეგზემპლარია. შრედერი რიჰარდ
ივანეს ძე (1822-1903) ცნობილი რუსი მებადეა. დაბადებულია და-
ნიაში. 1840 წლიდან გადმოსახლებულია რუსეთში. 1862 წლიდან მუ-
შაობდა მთავარ მებადედ და მასწავლებლად მოსკოვის ტიმირიაზევის
სახელობის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში. მას მრავალი მცენარე
აქვს შეგროვებული სხვადასხვა ადგილებიდან.



1906 და 1908-1909 წწ-ის რ.როჟევიცის მასალის 21 ეგზემპლარია -
 რია. როჟევიცია რომან იულის ძე (1882-1947) ლენინგრადის ინსტიტუტის
 ტის თანამშრომელი. დიდი წვლილი მიუძღვის 1871-1917 წწ-ში აზრის
 წესებულების ჰერბარიუმის მოწესრიგებაში. ძირითადად სწავლობდა
 მარცვლოვანებს. მისი ჰერბარიუმის დიდი ნაწილი ზოტანიკის ინსტი-
 ტუტშია დაცული.

1906, 1913-1914 და 1916 წწ-ის 18 ეგზემპლარია ყირგიზეთიდან
 ვ.ღუბიანსკისა. ღუბიანსკი ვლადიმერ ანდრიას ძე (1877-1962), ცნო-
 ბილი ზოტანიკოსი-გეოგრაფი, მუშაობდა ლენინგრადის უნივერსიტეტის
 პროფესორად. უდაბნოს მცენარეების საუკეთესო მცოდნე. მრავალი
 ექსპედიცია აქვს ჩატარებული შუა აზიაში. მისი მასალა ძირითადად
 ლენინგრადის ზოტანიკის ინსტიტუტშია დაცული.

ერთი ეგზემპლარია 1907 წელს ზაილისკის ალბათუს ოლქიდან
 ნ.სოკალსკის მიერ მოპოვებული.

ორი ეგზემპლარია 1908 წელს ბ.კელერის მიერ შეკრებილი მასა-
 ლებისა. კელერი ბორის ანდრიას ძე (1874-1945), ბიოლოგი, გეობოტა-
 ნიკოსი, მცენარეთა ეკოლოგი, იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის
 ნამდვილი წევრი. 1941 წლიდან მუშაობდა მოსკოვის ზოტანიკური ბა-
 დის დირექტორად, ამავდროს იყო თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემი-
 იის ფილიალის თავმჯდომარე, დიდი და პატარა ენციკლოპედიების ზო-
 ტანიკური განყოფილების გამგე. მრავალ ექსპედიციაშია მიუღია მონა-
 წილეობა. შუა აზიაში სხვადასხვა წლებში აქვს შეგროვებული მრავალ-
 ლი სახეობის მცენარე.

ასევე 1908 წელს მოპოვებული მასალებიდან ერთი ეგზემპლარია
 ვ.სამირნოვისა - აკმოლისკის მაზრიდან და ორი ეგზემპლარი ჰოლბეკი-
 სა და ფედოტოვისა - სამარყანდიდან. ჰოლბეკი ანდრია კარლოს ძე,
 აგრობოტანიკოსი, წლების მანძილზე მოგზაურობდა შუა აზიაში, ძირი-
 თადად სწავლობდა მარცვლოვან მცენარეებს.

ამავე წელს ტურგაის მაზრაში ი.კრაშენინიკოვის მიერ შეგროვებული მასალებიდან ჩვენ ფონდში ერთი ეგზემპლარია მოხვედრილი იკრაშენინიკოვი იპოლიტე მიხეილის ძე (1884-1947), იყო ფლორისტი-სისტემატიკოსი, პროფესორი, რთულყვავილოვანთა წარმომადგენლების დიდი სპეციალისტი. მუშაობდა ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა დაწესებულებებში. მონაწილეა მრავალი ექსპედიციისა. მისი მასალის ძირითადი ნაწილი ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტშია დაცული.

1908-1909, 1911, 1913-1914 წწ-ში შეგროვებული მასალიდან ზ.მინკვიციის 17 ეგზემპლარია ჩვენთან დაცული. მინკვიცი ზ.ა. (1878-1913), ცნობილი ბოტანიკოსი, სწავლობდა თურქმენეთის ფლორას და თავისი მასალებით წლების მანძილზე ამდიდრებდა ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმს. მას, ისევე, როგორც სხვა ცნობილ ბოტანიკოსებს, დიდი დეაწილი მიუძღვის 1871-1917 წლებში ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმის მოწესრიგებაში.

დაახლოებით ამავე წლებისაა ო.კნორინგის მასალა - 9 ეგზემპლარი. კნორინგი ოლღა ევერტის ასული (1887-?), იყო ცნობილი ბოტანიკოსი-გეოგრაფი, ფლორისტი-სისტემატიკოსი, 1909-1950 წწ-ში მუშაობდა ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად. იკვლევდა შუა აზიის ფლორას. კნორინგის მიერ შეკრებილი მცენარეების მიხედვით შუა აზიისათვის აღწერილია მრავალი ახალი სახეობა, როგორც თვით ავტორის, ისე სხვა მკვლევართა მიერ. მისი ძირითადი მასალა ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტშია დაცული.

1909 წელს ა.გედენსკისა და ვ.კალიტოვის მიერ სირდარიის ტერიტორიიდან შეგროვებული მასალიდან ჩვენ ფონდში ერთი ეგზემპლარია, რომელიც ენდემს წარმოადგენს. ამავე წელს და ამავე რაიონიდან ერთი ეგზემპლარია ვ.ბოროდინისა და ვ.კოლისტოვის. ბოროდინი ვასილ ნიკოლოზის ძე (?-1919) დაბადებული ურალსკში, ბოტანიკოსი-გეოგრაფი,

ფლორისტი, ძირითადად იკვლევდა ურალსკის (ყაზახეთის დას. ნაწილი) ფლორას. ამავდროულად, ტანჯიკ-ტამიის ტერიტორიიდან ვ. ნედუმიძის მიერ შეგროვებული მასალიდან, აგრეთვე ერთი ეგზემპლარია.

1909-1914 წწ-ში ვ. ლიპსკის, ო. კნორინგის და ბ. ფედერენკოს ექსპედიციებში მონაწილეობის დროს, ა. მიხელსონის მიერ შეგროვებული მასალის 93 ეგზემპლარია ჩვენთან დაცული. ამ მასალაში მრავლადაა აუთენტიკური და ენდემური ნიმუში.

1910 წელს შეგროვებული მასალიდან აღსანიშნავია კასატკინის ორი ეგზემპლარი, ა. მიხელსონისა და ნ. სამოკიშის ერთად მოპოვებული ორი ეგზემპლარი, ვ. ბლაკის ერთი ეგზემპლარი.

1910, 1913 წწ-ში ნ. სამოკიშის მიერ მოპოვებული მასალებიდან 8 ეგზემპლარია.

24 ეგზემპლარია ს. კუჩეროვსკაიას (1889-1950) მიერ 1910, 1913-1914 წწ-ში სემიპალატინის და პავლოვის ოლქებიდან შეგროვებული. მისი მასალის დიდი ნაწილი ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტში ინახება.

1911 წლის მასალებიდან სამ-სამი ეგზემპლარია ა. ჰოლბეკისა და კნორინგისა და მინკვიცის.

1912 წელს შეგროვებული ორ-ორი ეგზემპლარია ანდრიუშენკოსი და ბუბირის, ერთი ეგზემპლარია ვ. ბოროდინის; ამავდროულად ურალსკის ოლქიდან მოპოვებული მასალის ერთი ეგზემპლარია, რომლის კორექტორი უცნობია.

1913 წელს შეგროვებული მასალებიდან აღსანიშნავია: ა. ბუდოგორსკის 4 ეგზემპლარი, ბ. შიშკინისა და ვ. გენინის ორი ეგზემპლარი. შიშკინის ბორის კონსტანტინეს ძე (1886-1963), ცნობილი ბოტანიკოსი, დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი.

1918-1925 წლებში კავკასიის მუზეუმის ბოტანიკის განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1925-1930 წლამდე ტომსკის უნივერსიტეტის პრო-

ფესორად, ხოლო 1930 წლიდან ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის
თანამშრომლად - გარდაცვალებამდე.



ამავე პერიოდისაა მ.ჩუკაევის ერთი ეგზემპლარი, რომელიც
ორი ეგზემპლარი, მიხელსონის და შიპჩინსკის - ორი ეგზემპლარი,
ბრუნეცკის - ერთი ეგზემპლარი.

1913-1914 წწ-ის მასალაა ნ.დესიატოვასი - 15 ეგზემპლარი.

1914 წლის მასალებია: ა.ანდროსოვისა და ლ.ბუბირის - 4 ეგ-
ზემპლარი, ოთხივე ენდემური სახეობაა, მათ შორის ერთი აუთენტიკი-
ცაა; ნ.ტუტურინისა და პ.ბესედინის - 5 ეგზემპლარი; ნ.შიპჩინსკის
14 ეგზემპლარი; ვ.ტიტოვის - 7 ეგზემპლარი; კ.კოსინსკის - 9 ეგ-
ზემპლარი. კოსინსკი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (1874-1923),
ფლორისტი-სისტემატიკოსი, 1916 წლიდან გარდაცვალებამდე პეტერბურ-
გის ბოტანიკური ბაღის კონსერვატორად მუშაობდა, ხელმძღვანელობდა
რუსეთის ევროპული ნაწილის ჰერბარიუმს. დებულობდა მონაწილეობას
შუა აზიის ექსპედიციებში.

1915 წლის მასალაა მ.სპირიდონოვისა - II ეგზემპლარი და
დ.იაკოვლევის - ერთი ეგზემპლარი. სპირიდონოვის მასალა მოპოვე-
ბულია ჩრდ.ადმოსავლეთ უზბეკეთის ე.წ. "გოლოდნაია სტეპ"-იდან.
ეს სახელწოდება ამ ტერიტორიისათვის ძველ მოგზაურებს პირდაპირი
მნიშვნელობით შეურქმევიათ თავისი მიუდგომლობის, უწყლობისა და
ღარიბი მცენარეული საფარის გამო. იგი მოიცავს დიდ გავაკებულ
ტერიტორიას მდ.სირ-ღარიას, თურქმენეთის მთიანეთისა და ყიზილ-
ყუმის უდაბნოს შორის. იმ პერიოდისათვის, როდესაც სპირიდონოვს
მცენარეები შეურგოვებია, უკვე დაწყებული ყოფილა სარწყავი სისტე-
მის გაყვანა.

1916 წლის მასალებიდან ერთი ეგზემპლარია ა.სერებროვსკის
მიერ შეგროვებული. სერებროვსკი ალექსანდრე სერგის ძე (1892-
1948), ცნობილი გენეტიკოსია. დამთავრებული აქვს მოსკოვის უნივერ-

სიტეტი. 1933 წლიდან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. შუა აზიიდან მრავალი მცენარე აქვს შეგროვებული.




1920 წლის მასალებიდან ორი ეგზემპლარია ვ. მოლდენკის (1893-1955), ცნობილი ბოტანიკოსი, დამთავრებული აქვს პეტროგრადის უნივერსიტეტი. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. 1917-1927 წწ მუშაობდა ტაშკენტისა და სარატოვის უნივერსიტეტებში. შემდეგ წლებში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, სამარყანდში, კიევში, ლვოვში პროფესორად. მისი ძირითადი ნაშრომები ეხება შუა აზიის, კარპატების, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის მცენარეების ფილოგენიას, სისტემატიკას და მცენარეთა გეოგრაფია-ისტორიას. მისი მასალის ძირითადი ნაწილი ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმშია დაცული.

1921-1922 წწ-ის მასალებიდან ა. ვედენსკისა და ე. კოროვინის ორი ეგზემპლარია ისევე ტაშკენტიდან. ორივე ენდემი. ამავც წლების ა. ვედენსკის მნ ეგზემპლარია სირდარიისა და სამარყანდის ოლქებიდან. ვედენსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1898-?), სისტემატიკოსი და ფლორისტი, იყო შუა აზიის ფლორის დიდი სპეციალისტი. იგი 1925 წლიდან ტაშკენტის უნივერსიტეტის ჰერბარიუმის გამგედ მუშაობდა. აწ-ობდა მრავალ ექსპედიციას შუა აზიის სხვადასხვა რაიონში. მისი მასალა დაცულია ძირითადად ბოტანიკის ინსტიტუტში. კოროვინი ევგენი პეტრეს ძე (1891-?), ფლორისტი-სისტემატიკოსი, ბოტანიკოსი-გეოგრაფი, ეკოლოგი, იყო შუა აზიის ფლორის მკვლევარი. მუშაობდა ტაშკენტის უნივერსიტეტში პროფესორად, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორად, იყო უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მისი მასალა ძირითადად დაცულია ტაშკენტში სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1934 წელს მუზეუმში შემოსული მასალებიდან არის კოდევ მიქელი რიგი ნიმუშებისა, რომელთა შეგროვების თარიღი არ არის აღნიშნული მაგალითად, ა. ლეჰმანის ორი ეგზემპლარი, კრისტოვის 7 ეგზემპლარი სიევერსის 25 ეგზემპლარი, ოვერინის 15 ეგზემპლარი, კუმინის ერთი ეგზემპლარი, ნ. ტურჩანინოვის ერთი ეგზემპლარი - ბუნგეს მიერ გარკვეული. კლოპოტოვი ბორის ნიკოლოზის ძე (1882-1942) იყო ფლორისტი, ბოტანიკოსი-გეოგრაფი, მცენარეული რესურსების სპეციალისტი. იცვლევდა თურქმენეთის მაღალმთიან რაიონებს.

1938 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა აზიის ჰერბარიუმი მდიდრდება ნ. ნაზაროვის მიერ მოსკოვის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი მასალებით. ეს მცენარეები შეგროვებულია უზბეკეთის სხვადასხვა რაიონებში და ყაზახეთის ცენტრალური ნაწილის - ბალხაშისა და აღმოსავლეთი ნაწილის ჟუნგარის ალათაუს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს. ამ კოლექციაში ყველაზე ადრინდელი და მეტი სახეობითაა კარელინისა და კირილოვის მცენარეები, მოპოვებული ჟუნგარის ალათაუდან 1840 წელს - 16 ნიმუში და 1841 წელს - 62 ნიმუში. მასალა მდიდარია აუთენტიკური და შუა აზიის ენდემებით. არის ცალკე კარელინის ორი სხვადასხვა სახეობის ენდემური ნიმუში, რომელთაგან ერთი აუთენტიკია.

როგორც ცნობილია, ბოტანიკურ მცენარეუბაში გრიგოლ სილას ძე კარელინისა (1801-1872) და ივანე პეტრეს ძე კირილოვის (1821-1842) გვარები ხშირად ერთად მოიხსენიება. ეს ორი სისტემატიკოსი-ფლორისტი 1838 წლიდან იწყებენ ერთად მოგზაურობას. ჩვენს ფონდებში დაცულია მათი 1840-1841 წწ-ში ერთად მოგზაურობის შედეგად მოპოვებული მასალის ნაწილი. ამ დროს კარელინი დროებით ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა და ითვლებოდა მოსკოვის ბუნების გამოცდის საზოგადოების ნამდვილ წევრად, რომლის მეშვეობითაც იყო მოწყობილი ზემოაღნიშნული ექსპედიცია, ხოლო კირილოვი - პეტერბურგის უნივერ-



სიტეტში მუშაობდა. იკარელინისა და კირილოვის მასალის ძირითადი ნაწილი მოსკოვის უნივერსიტეტისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში ინახება, ხოლო დუბლიკატები დაცხვენია, როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ისე საზღვარგარეთის ბოტანიკურ საცავებში.

კარელინისა და კირილოვის მასალების შემდეგ, 1938 წელს მუზეუმის ფონდებში შემოსულ შუა აზიის კოლექციაში, ქრონოლოგიურად წლების მიხედვით ა. ანდროსოვის მიერ 1900, 1903, 1908 და 1912 წწ-ში შეგროვებული მასალის 7 ეგზემპლარია. ანდროსოვი ნიკოლოზ ვიკენტის ძე (1870-1941), ფლორისტი-სისტემატიკოსი, იყო ცნობილი კოლექტორიც. ძირითადად შუა აზიის ფლორის მკვლევარია. მის მიერ შეგროვებული მასალის მიხედვით მრავალი ახალი სახეობა აღწერილია. 1896 წლიდან მუშაობდა შუა აზიაში მერვეში და ფარაბში მებაღედ, შემდეგ 1924-1927 წწ-ში ტაშკენტში - მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად და თურქმენეთის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილედ. ბოლოს გარდაცვალებამდე იყო ამავე ბაღის ჰერბარიუმისა და თესლთა განყოფილების გამგე. მისი ჰერბარიუმის ძირითადი ნაწილი დაცულია ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტში და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თურქმენეთის ფილიალში.

1934 წელს არის შეგროვებული ნ. პარფენტიევას 7 ეგზემპლარი და ა. შვირიაევას - 28 ეგზემპლარი.

